

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის ბრძანება №141/ნ

2010 წლის 20 მაისი

ქ. თბილისი

სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და ამ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის და რეგულირების წესი (დანართი №1);

ბ) ოჯახის დეკლარაციის ფორმა (დანართი №2);

გ) ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმის ფორმა (დანართი №3);

დ) ოჯახის წევრ(ებ)ის რეგულირების ფორმა (დანართი №4);

ე) ოჯახში მცხოვრები (0-დან 18 წლამდე) ბავშვ(ებ)ის დეკლარაციის ფორმა (დანართი №5);

ვ) ბავშვ(ებ)ის დეკლარაციაში შესატანი მონაცემები და ქულათა ოდენობები (დანართი №6).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 22 მაისის ბრძანება №01-14/ნ - ვებგვერდი, 25.05.2015წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული ფორმების დამზადება უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნებიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 ივნისიდან.

ა. კვიტაშვილი

დანართი №1

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 22 მაისის ბრძანება №01-14/ნ - ვებგვერდი, 25.05.2015წ.

სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და ამ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის და რეგულირების წესი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ეს წესი განსაზღვრავს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ამ ოჯახებში მცხოვრები ბავშვ(ებ)ის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება/აღრიცხვის, რეგულირების მეთოდებსა და პირობებს, არეგულირებს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ბავშვ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და სამართლებრივ საკითხებს.

2. ამ წესის მიზანია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) რეგისტრაციის მაძიებელი და რეგისტრირებული ოჯახების იდენტიფიკაცია, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად, ასევე, ოჯახში მცხოვრები ბავშვ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის შეგროვება/აღრიცხვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20



მუხლი 2

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სააგენტო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო;

ბ) ოჯახი – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი. ოჯახის შემადგენ-ლობაში არ გაითვალისწინება:

ბ.ა) სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდე-ბული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განა-ჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

ბ.ბ) იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;

ბ.გ) ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას სამ დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში);

ბ.დ) ზედიზედ სამ თვეზე მეტი ვადით ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასუ-ლი პირი;

ბ.ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;

ბ.ვ) სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი;

ბ.ზ) პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებული.

გ) შინასამეურნეო საქმიანობა – ოჯახის საკეთილდღეოდ მიმართული საქმიანობა, რომელიც ითვისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვებასა და ამ საშუალებების (ფული, პროდუქტები, ტანსაცმელი და ა.შ.) ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა განაწილებას;

დ) ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი – ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც ოჯახის წევრები ანდობენ დაადასტუროს „ოჯახის დეკლარაციაში“ შესატანი მონაცემები ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;

ე) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა – სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული ვიზუალური დათვალიერებისა და გამოკითხვის (ინტერვიუების) შედეგად დაფიქსირებული მონაცემებისა და ფაქტების ერთობლიობა;

ვ) ოჯახის დეკლარაცია (ან დეკლარაცია) – სპეციალური ფორმის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს ოჯახის შემადგენლობაში მყოფი წევრების, ოჯახის შემოსავლებისა და კომუნალური დანახარჯების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს, რომლებიც ასახავს ოჯახის ფაქტობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და საჭიროა ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად;

ზ) სააგენტოს უფლებამოსილი პირი – პირი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიისა და წესის შესაბამისად ახორციელებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა-შეფასებას და ამ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებას/აღრიცხვას;

თ) ინტერვიუება – სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ჩატარებული გამოკითხვა ოჯახის და ოჯახში მცხოვრები ბავშვ(ებ)ის შესახებ საჭირო ინფორმაციის დადგენის და/ან დაზუსტების მიზნით;

ი) სოციალური მუშაკი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში – ზრუნვის სააგენტო) მეურვეობისა და მზრუნველობის სპეციალურად უფლებამოსილი პირი.

კ) არამომუშავე შრომისუნარიანი წევრი – პირი, რომელიც არ მიეკუთვნება შემდეგ კატეგორიას:

კ.ა) სარეცელს მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი;

კ.ბ) დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და/ან საჭიროებს მომვლელს;

კ.გ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (I ჯგუფი);

კ.დ) მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (II ჯგუფი);

კ.ე) ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი;

კ.ვ) საპენსიო ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 60 წელი, მამაკაცი – 65 წელი);

კ.ზ) ბავშვი;

ლ) ბავშვი – 18 წლამდე ასაკის პირი (არასრულწლოვანი პირი);

მ) ბავშვის დეკლარაცია – ოჯახის დეკლარაციაზე თანდართული სპეციალური ფორმის დოკუმენტი, რომელიც ივსება ოჯახის დეკლარაციასთან ერთად, იმ შემთხვევაში თუ ოჯახში 0-18 წლამდე ბავშვ(ებ)ი ცხოვრობს და



შეიცავს მონაცემებს ოჯახში მცხოვრები ბავშვ(ებ)ის შესახებ.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესში“.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 7 ივნისის ბრძანება №01-38/ნ - ვებგვერდი, 08.06.2017წ.](#)

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.](#)

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის ბრძანება №01-41/ნ - ვებგვერდი, 16.04.2020წ.](#)

თავი II. ოჯახის იდენტიფიკაცია და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მონაცემთა დადგენა

მუხლი 3

1. ოჯახის იდენტიფიკაცია, ოჯახში მცხოვრები ბავშვ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის შეგროვება/აღრიცხვა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა ხორციელდება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2. ოჯახის იდენტიფიკაციის, ოჯახში მცხოვრები ბავშვ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის შეგროვება/აღრიცხვის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასადგენად სააგენტოს უფლებამოსილი პირი ახორციელებს ობიექტური და სუბიექტური ინფორმაციის მოპოვებას:

ა) ობიექტური ინფორმაცია მიიღება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის საცხოვრებელი პირობების ვიზუალური დათვალიერებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად;

ბ) სუბიექტური ინფორმაცია გულისხმობს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლისგან ინტერვიუების შედეგად მიღებულ მონაცემთა ერთობლიობას. ინტერვიუების პროცესში შესაძლოა მონაწილეობდეს ოჯახის სხვა ინფორმირებული წევრ(ებ)იც.

3. ოჯახის დეკლარაცია და ბავშვ(ებ)ის დეკლარაცია ივსება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახში ვიზიტის დროს. ბავშვ(ებ)ის დეკლარაციის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ცხოვრობს ბავშვ(ებ)ი.

4. ოჯახში ვიზიტისას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) ოჯახს წარუდგინოს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, გააცნოს თავისი უფლება-მოვალეობები, განუმარტოს შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკა, მიზანი და მნიშვნელობა;

ბ) დამატებით შეახსენოს ოჯახის წევრებს წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები;

გ) შეხვდეს და გაესაუბროს ოჯახის წევრებს (სასურველია ყველას), რათა შეიქმნას ზოგადი შთაბეჭდილება მოცემული ოჯახის შესახებ;

დ) ქონებისა და ყოფითი პირობების შესწავლა-შეფასების მიზნით ინტერვიუს დაწყებამდე ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეთანხმებით ზოგადად დაათვალიეროს ოჯახის საცხოვრისი (იგულისხმება ოჯახის საკუთრებაში და/ან მფლობელობაში არსებული თითოეული ნივთის _ მოძრავის თუ უძრავის, პროდუქციის (მათ შორის გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი მოხმარების) გულდასმით დათვალიერება, რაც დაეხმარება სააგენტოს უფლებამოსილ პირს ოჯახის შესახებ ფაქტობრივი მდგომარეობის დასადგენად საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ოჯახის დეკლარაციის სწორად შევსებისათვის);

ე) იმ შემთხვევაში, თუ თავად ვერ ახერხებს ნახოს ოჯახში მცხოვრები ბავშვ(ებ)ი, ბავშვ(ებ)ის დეკლარაცია შეავსოს ოჯახის სხვა წევრ(ებ)ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

5. სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტისას ინტერვიუს დაწყებამდე ოჯახის წევრები ასახელებენ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელს, რომელთანაც წარიმართება ინტერვიუ.

6. ოჯახი ვალდებულია:

ა) შეუქმნას სააგენტოს უფლებამოსილ პირს საქმიანობის სათანადო პირობები მოქმედების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) არ შეუქმნას სააგენტოს უფლებამოსილ პირს დაბრკოლებები და/ან არ შეუშალოს ხელი მისთვის დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში (ასეთ გარემოებად განიხილება, მაგ.: ოჯახის საცხოვრებელში შესვლის, საცხოვრებლის რომელიმე ადგილის დათვალიერებისათვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილი საბუთ(ებ)ის განზრახ დამალვა და სხვა);

გ) არ მოახდინოს სააგენტოს უფლებამოსილ პირზე რაიმე ზემოქმედება მის საქმიანობაში



გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით;

დ) სრულყოფილი, ზუსტი და სწორი ინფორმაცია მიაწოდოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ოჯახის წევრების რაოდენობის და მათი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. ამასთან, ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, აცნობოს სააგენტოს აღნიშნულის შესახებ;

ე) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შემთხვევაში, აცნობოს სააგენტოს ოჯახის წევრის სამ თვეზე მეტი ვადით საზღვრის კვეთის თაობაზე. სამთვიანი ვადის ამოწურვის თვიდან არაუგვიანეს მომდევნო ერთი თვის ვადაში (თვეთა ათვლისას საზღვრის კვეთის თვე ითვლება პირველ თვედ);

ვ) ამ წესის მიზნებისთვის განსაზღვრული, ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიანი წევრ(ებ)ი ამ წესით გათვალისწინებული პირობებით დარეგისტრირდნენ „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე – www.worknet.gov.ge;

ზ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა ვრცელდება:

ზ.ა) ერთწევრიანი ოჯახის შემთხვევაში;

ზ.ბ) 2 და მეტი წევრისგან შემდგარი ოჯახის შემთხვევაში, თუ ოჯახში ერთზე მეტი არამომუშავე შრომისუნარიანი წევრია;

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 7 ივნისის ბრძანება №01-38/ნ - ვებგვერდი, 08.06.2017წ.](#)

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.](#)

თავი III. ოჯახის დეკლარაციის შევსების წესი

მუხლი 4

1. ოჯახის დეკლარაციის შევსების დაწყებამდე, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განუმარტოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომ ინტერვიუების შედეგად დეკლარირებული ინფორმაცია ექვემდებარება გადამოწმებას და არასწორი ან ყალბი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, ოჯახს შეიძლება შეუწყდეს რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში. რეგისტრაციის შეწყვეტის შემთხვევაში ოჯახის განაცხადი მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად ძალას კარგავს ავტომატურად, ხოლო ოჯახი კარგავს უფლებას, განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

2. ოჯახის დეკლარაციის შევსებამდე, სააგენტოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოიძიოს ოჯახის შესახებ მისთვის საჭირო ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან (მაგ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ამ ოჯახის შემადგენლობის, უძრავი ქონების – მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესახებ) და ინტერვიუების პროცესში შეადაროს იგი ოჯახის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. შეუსაბამობის შემთხვევაში მიუთითოს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს ინფორმაციის უზუსტობის შესახებ.

მუხლი 5

1. ოჯახის დეკლარაციაში მონაცემები შეიტანება გარკვევით, ბურთულიანი კალმის გამოყენებით. შევსებას ექვემდებარება დეკლარაციის ყველა საჭირო გრაფა.

2. ოჯახის დეკლარაციის შევსების დაწყებამდე სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია შესაბამის გრაფაში მიუთითოს საკუთარი სახელი, გვარი და სამსახურებრივი კოდი.

3. ოჯახის დეკლარაციაზე უნდა მიეთითოს ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი, აგრეთვე მისამართი, ოჯახის წევრთა საკონტაქტო მონაცემები (ბინის ტელეფონი, მობილურის ნომერი და სხვა), ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაცემები.

4. ოჯახის დეკლარაციის შესაბამის გრაფაში უნდა გაკეთდეს აღნიშვნა, თანახმაა თუ არა ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი მითითებული მობილური ტელეფონის ნომერზე გაიგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება მონაცემთა ბაზაში ოჯახის რეგისტრაციის ან/და სოციალური დახმარების შესახებ.

5. დეკლარაციის „B2“, „B4“ და „C2“ პუნქტების შევსებამდე ცხრილების სტრიქონში – „ოჯახის წევრის სახელი“ უნდა ჩაიწეროს ოჯახის წევრების სახელები („C2“-ის შემთხვევაში მხოლოდ 18 წლის და ჯეროვანი ასაკის). სახელები გადმოტანილი უნდა იქნას „B1“ ცხრილიდან ისეთივე თანმიმდევრობით,



- რომ ორივე ცხრილში ოჯახის ერთსა და იმავე წევრს ერთი და იგივე რიგითი ნომერი შეესაბამებოდეს.
6. დეკლარაციის „A“, „B“, „C“ (გარდა „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-13 გრაფისა), „D“ და „E“ ბლოკები ივსება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დეკლარაციის „F“ ბლოკი ივსება უშუალოდ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ, დამოუკიდებლად, ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ან სხვა წევრთან შეთანხმების გარეშე, ხოლო „C3“ კითხვის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-13 გრაფები – ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად.
7. „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-13 გრაფების შევსების დროს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს აცნობს ინფორმაციას ოჯახის წევრების შემოსავლების შესახებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) მიღებულ მონაცემთა ბაზასა და სააგენტოს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და ავსებს შესაბამის გრაფას.
8. თუ ოჯახის განაცხადში დაფიქსირებულ წევრთა მონაცემები არაიდენტურია დეკლარაციის შევსების მომენტში არსებულ წევრთა მონაცემებთან, ასეთ შემთხვევაში სააგენტოს უფლებამოსილი პირი განსხვავებულ ოჯახის წევრ(ებ)ზე „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-13 გრაფებს ავსებს სააგენტოში დაცული ინფორმაციის საფუძველზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №01-41/5 - ვებგვერდი, 16.09.2015წ.

მუხლი 6

1. ოჯახის დეკლარაციის „A“ ბლოკის – „ოჯახის საცხოვრებელი“ შევსებამდე, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ზუსტად უნდა განუმარტოს ოჯახს, თუ რა იგულისხმება „ოჯახის“ ცნებაში. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ამჩნევს ოჯახის ხელოვნურად გაყოფის ან ოჯახის ხელოვნურად გაერთიანების მცდელობას, მაშინ აღნიშნული ფაქტის დაზუსტებას ახდენს საცხოვრებელი პირობების ყურადღებით შემოწმების მეშვეობით (მაგ.: საძინებლები, პირადი ჰიგიენის საგნები და სხვა). ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ ხდება მარაგების შენახვა და განაწილება მოცემულ ოჯახში, უნდა შემოწმდეს ცხოვრობენ, თუ არა ისინი ერთ საცხოვრისში და აქვთ თუ არა მათ საერთო სამზარეულო, საერთო კომუნალური მრიცხველი, საერთო შესასვლელი და ა.შ. სააგენტოს უფლებამოსილ პირს ენიჭება მოქმედების თავისუფლება ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დასადგენად.
2. თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ერთ საცხოვრისში მოცემულ ოჯახთან ერთად ცხოვრობს სხვა ოჯახი (მაგ.: ეს შეიძლება იყოს მშობლების, შვილების, ნათესავების ან არანათესავების ოჯახი), რომელიც ამ ოჯახისაგან დამოუკიდებლად ეწევა შინასამეურნეო საქმიანობას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია დამატებითი გამოკითხვის საშუალებით, გადაამოწმოს ხელოვნურად ხომ არ იყოფა ოჯახი.
3. თუ, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არასწორად უთითებს ოჯახის შემადგენლობას (ოჯახის ხელოვნური დაყოფა ან გაერთიანება), სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია მიუთითოს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს აღნიშნულის შესახებ და მისი თანხმობის შემთხვევაში შეავსოს ოჯახის დეკლარაცია, ოჯახში რეალურად მცხოვრები ყველა წევრის გათვალისწინებით.
4. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ეთანხმება ოჯახის ხელოვნური დაყოფის/გაერთიანების ფაქტს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი წყვეტს ოჯახის დეკლარაციის შევსებას და არსებული წესის შესაბამისად ავსებს ოქმს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ (დანართი N3).
5. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირადად შეამოწმოს ელექტოენერგიის, ბუნებრივი აირის, დასუფთავებისა და წყლის დანახარჯის ამსახველი ქვითრები და ამოწეროს სააბონენტო ნომერი.
6. „A7“ პუნქტის კითხვაზე – „ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა უძრავ ქონებას ფლობთ?“ პასუხის გაცემისას, თუ ოჯახს გააჩნია ჩამოთვლილი ნაგებობებიდან რამდენიმე, შემოიხაზება ყველა პასუხის შესაბამისი ნომერი. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გამოიყენოს ოჯახის საცხოვრებელი პირობების (მ.შ. ეზოს) დათვალიერების შედეგად ან სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია ოჯახის სარგებლობაში არსებული სხვა უძრავი ქონების შესახებ. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეუსაბამო ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა ოჯახის დეკლარაციის „F“ ბლოკში.
7. „A8“ პუნქტის – „ჩაწერეთ რამდენია შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის საერთო ფართობი“ შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა დეკლარაციაში უნდა დააფიქსიროს სსიპ – „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ მითითებული ინფორმაცია კვადრატული მეტრის მითითებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ უძრავი ქონება არ არის დარეგისტრირებული სსიპ – „საჯარო



რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ ჩაიწერება ოჯახის უფლებამოსილი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია კვადრატული მეტრის მითითებით. თუ ოჯახი ცხოვრობს ნაქირავებ/ნაგირავებ ბინაში და არ არის დარწმუნებული თუ რამდენ ფართობს იკავებს ზუსტად, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ჩაწერს იმ მონაცემებს, რომელსაც დააფიქსირებს ოჯახის წევრი და აღნიშნული ინფორმაცია ჩაითვლება სანდოდ. შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი შეავსებს ოჯახის დეკლარაციის „F“ ბლოკის შესაბამის გრაფას.

8. „A9“ პუნქტის – „ჩაწერეთ რამდენი ოთახია თქვენი შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საერთო საცხოვრისში სულ (სამზარეულოს, დერეფნის, საბაზანოს, ტუალეტის და სხვა დამხმარე სათავსოების გარდა)“ – შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა მიუთითოს იმ ოთახების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება საცხოვრებლად, მათ შორის მისაღები ოთახი (ე.წ. „ზალა“), საძინებელი, ლოჯია. დაკავებული ოთახების რაოდენობაში სააგენტოს უფლებამოსილი პირი არ გაითვალისწინებს დერეფანს, ტუალეტს, საბაზანოს ან სხვა დამხმარე სათავსოს (მაგ. სხვენი, ავტოფარები, სამზადი/მარანი, სამეურნეო ნაგებობა, სარდაფი, კომერციული ფართი, დაუმთავრებელი ნაგებობა/ფართი). სააგენტოს უფლებამოსილი პირი პირადად დაათვალიერებს და შეამოწმებს ოთახების რაოდენობას, იქ არსებულ ნივთებს და ინვენტარებს და შესაბამის გრაფაში მიუთითებს ოთახებს ჯამურ რაოდენობას.

9. „A10“ პუნქტის კითხვაზე – „ძირითადად რა მასალის არის იატაკი შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ნაწილში“ – შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი დაათვალიერებს ოთახებს და გრაფაში მიუთითებს შესაბამის კოდს. თუ ყველა ოთახში ან ოთახების უმეტეს ნაწილში არის პარკეტი, შემოხაზავს „1“ კოდს. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელ ფართში/ნაწილში იატაკი შედგება პარკეტისა და ბეტონისგან, მაგრამ ძირითადი ნაწილი ბეტონისგან სააგენტოს უფლებამოსილი პირი შემოხაზავს ბეტონის აღმნიშვნელ კოდს „4“. თუ საცხოვრებელ ფართში იატაკი შედგება ჩამოთვლილისგან განსხვავებული სხვა მასალისგან, შემოიხაზება კოდი „6“.

10. „A11“ პუნქტის კითხვაზე – „ფლობთ თუ არა ძირითადი საცხოვრებელის გარდა სხვა საცხოვრებელს (ბინას, სახლს, აგარაკს)“ – შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია აუხსნას ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომ სხვა საცხოვრებელში იგულისხმება ყველა ის უძრავი ქონება (მრავალსართულიან კორპუსში, ან ერთ ან მეტ სართულიან განცალკევებულად მდგომ სახლში), რომელიც არის ოჯახის რომელიმე წევრის კანონიერ საკუთრებაში (შესაძლებელია სხვა დასახლებულ პუნქტში, ქალაქში ან სოფელში) და არის დაკეტილი და/ან გადაცემული სხვისთვის დროებით სარგებლობაში). ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეუსაბამო ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა ოჯახის დეკლარაციის „F“ ბლოკში.

11. „A12“ პუნქტის – „ჩაწერეთ სხვა საცხოვრებელ(ებ)ის მთლიანი ფართობი“ – სააგენტოს უფლებამოსილი პირი მიუთითებს ოჯახის უფლებამოსილი წევრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ძირითადი საცხოვრისი გარდა საკუთრებაში არსებული ბინის, სახლის და/ან აგარაკის ფართობს მ2-ში. თუ ოჯახს საკუთრებაში გააჩნია ერთზე მეტი ბინა, სახლი და/ან აგარაკი, მიუთითებს ჯამურ ფართობს (მაგ. თუ ოჯახი ფლობს 1 ბინას (მრავალსართულიან შენობაში/კორპუსში) 50 მ2 და 1 სახლს (ერთ ან მეტ სართულიან განცალკევებულად მდგომ შენობას) 100მ2-ს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი შემოხაზავს კოდს „1“ და მიუთითებს 150მ2-ს). სააგენტოს უფლებამოსილი პირი უფლება აქვს ინფორმაცია ოჯახის რომელიმე წევრის არსებული ბინის, სახლის და/ან აგარაკის შესახებ მოიძიოს სსიპ – „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მონაცემთა ბაზიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებებიდან (მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან). ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეუსაბამო ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა ოჯახის დეკლარაციის „F“ ბლოკში. ამ წესის მიზნებისთვის, აგარაკი წარმოადგენს ოჯახის რომელიმე წევრის საკუთრებაში არსებულ სარეკრეაციო მიზნებისთვის სეზონურად და/ან დასასვენებლად გამოყენებად უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთზე მდგომ სახლს), რომელიც მდებარეობს სხვა დასახლებულ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული სსიპ – „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში“ ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩაითვლება სანდოდ.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.](http://www.matsne.gov.ge)

მუხლი 7

1. დეკლარაციის „B“ ბლოკის – „ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემები“ – შევსება ხდება ოჯახის ყველა წევრზე (ახალშობილების და მოცემულ მომენტში ოჯახიდან დროებით, დეკლარაციის შევსების მომენტში არაუმეტეს სამი თვის ვადით, წასული წევრების ჩათვლით).

2. ოჯახის დეკლარაციის შევსებისას ოჯახის წევრებად არ გაითვალისწინება:

ა) სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;



- ბ) იმულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;
- გ) ვადიან სამხედრო სამსახურში (სავალდებულო და საკონტრაქტო) მყოფი პირი გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას სამ დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში;
- დ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ ზედიზედ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირი;
- ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;
- ვ) სპეციალიზირებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი პირი;

ზ) პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებული.

3. სასურველია დეკლარაციის პერსონალური ნაწილი შეივსოს უშუალოდ ამ პირ(ებ)ის გამოკითხვის შედეგად. თუ ეს ვერ ხერხდება, ინფორმაცია ივსება უფლებამოსილი წარმომადგენლის პასუხებზე დაყრდნობით. ოჯახის არასრულწლოვანი წევრ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია მიიღება უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან.

4. დეკლარაციის „B1“ პუნქტში – „ბიოგრაფიული მონაცემები“. ოჯახის წევრების მონაცემები შეტანა უნდა მოხდეს ასაკის კლების რიგითობით (პირველი ფიქსირდება ყველაზე უფროსი წევრი, შემდეგ ასაკით მომდევნო წევრ(ებ)ი). ამასთან ასაკის გრაფაში უნდა მიეთითოს დეკლარაციის შევსების მომენტისათვის შესრულებულ წელთა რიცხვი. თუ დეკლარაციის შევსების მომენტში ოჯახის წევრს არ შესრულებია ერთი წელი, მაშინ იწერება „0“.

5. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირადად შეამოწმოს თითოეული ოჯახის წევრის პირადობის/მუდმივი ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში შესაძლებელია დაბადების მოწმობა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემთხვევაში – დროებითი ბინადრობის მოწმობა) ან შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და იქიდან ამოიწეროს პირადი ნომრები.

6. დეკლარაციის „B2“ პუნქტის „შინამეურნეობის მიერ დასახელებული ოჯახის უფროსი“ –შევსებისას უნდა ჩაიწეროს, ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ შინამეურნეობის რომელი წევრი არის ოჯახის უფროსი;

7. დეკლარაციის „B3“ პუნქტში „ფიზიკური მდგომარეობა“ მოცემულ ცხრილში ყოველ წევრზე უნდა შემოიხაზოს მხოლოდ დეკლარაციაში ჩამოთვლილი ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისი კოდები. სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა დარწმუნდეს (ვიზუალურად ან დოკუმენტურად), რომ ფიზიკური პირის მდგომარეობა შეესაბამება დეკლარირებულს. ამ კითხვის შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გაითვალისწინოს:

ა) პირებს, რომელთაც რაიმე ავადმყოფობის გამო დროებით შეზღუდული აქვთ გადაადგილება (მოტეხილობის, კეთილსაიმედო ავადმყოფობის ან სხვა) არ მიეკუთვნებიან კატეგორიებს: „სარეცელს მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი“ და/ან „დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და საჭიროებს მომვლელს“;

ბ) ამ წესის მიზნებისათვის, ფიზიკური მდგომარეობის – „სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ/ამბულატორიულ მკურნალობას“ – შემოხაზვისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ ოჯახის წევრის მდგომარეობა ნამდვილად შეესაბამება ამ კატეგორიას, რაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებულია:

ბ.ა) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რომლებიც მიმდინარეობს გულის ქრონიკული უკმარისობით (I50) (III – IV ფუნქციური კლასი „NYHA“) ან სტაბილური სტენოკარდიით (I20.8) (III – IV ფუნქციური კლასი „CCS“);

ბ.ბ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რომლის დროსაც რეკომენდებულია ან ჩატარებულია აუცილებელი ინტერვენციული ჩარევები (ოპერაციები გულზე, სტენტირება, რითმის წამყვანის – პეისმეიკერის, გულშიდა დეფიბრილატორის იმპლანტაცია);

ბ.გ) სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები, გართულებული სუნთქვის ქრონიკული უკმარისობით (J96.1) (ასთმა J45.0-J45.9; ფილტვის არტერიის პირველადი და მეორადი ჰიპერტენზია I27.0, I27.2; ცისტური ფიბროზი პულმონური მანიფესტაციით E84.0; კიფოსკოლიოზი M41; სიმსუქნე ალვეოლური ჰიპოვენტილაციით E66.2; ვეგენერის გრანულომატოზი M31.3; პოლიარტერიტი ფილტვის დაზიანებით (ჩარჯ-სტროსის სინდრომი) M30.0; ფილტვის სხვა ინტერსტიციული ავადმყოფობები ფიბროზით J84.1; ნეირომუსკულური პრობლემები (მიასთენია გრავის და სხვა მიონევროული დაავადებები – G70.0-G70.9, გიენ-ბარეს სინდრომი – G61.0; მოტორული ნეირონების დაზიანება G12.0-G12.9, მათ შორის ვერდნიგ-ჰოფმანის დაავადება), პოლინეიროპათია G63, პოლიომიელიტი, კუნთების პირველადი დაზიანებანი G71.0 – G71.9, მიქსედემა E00.0; ემფიზემა – J43; ფილტვების სხვა ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები J44; ბრონქოექტაზური დაავადება J47; ფილტვის ავადმყოფობები გამოწვეული გარეგანი ფაქტორებით J60 – J68; ობლიტერაციული ბრონქიოლიტი, ფილტვების ფიბროზი J68.4; ქრონიკული და სხვა ფილტვისმიერი გამოვლინებები გამოწვეული რადიაციით, რადიაციის შემდგომი ფილტვის ფიბროზი J70.1; ფილტვების ქრონიკული ინტერსტიციური დაზიანებები



მედიკამენტოზური J70.3; ალვეოლური და პარიესო-ალვეოლური დაზიანებები (ალვეოლური პროტეინოზი, ალვეოლური მიკროლითიაზი) J84.0; ფიბროთორაქსი J94.1; ფილტვის რევმატიოიდული დაავადება J99.0; რესპირაციული დარღვევები შემავრთველი ქსოვილის სხვა დიფუზური დაზიანებების დროს J99.1; ფილტვების სარკოიდოზი D86.0; ფილტვების სარკოიდოზი ლიმფური კვანძების სარკოიდოზთან ერთად D86.2; ჰისტოციტოზი X D76.0; სუნთქვის უკმარისობა დაუზუსტებელი J96.9);
ბ.დ) თირკმლის ქრონიკული დაავადება III (N18.3), IV (N18.4), V (N18.5) სტადია;
ბ.ე) ონკოლოგიური, მათ შორის, ონკოჰემატოლოგიური დაავადებები (C00-C97), რომლის დროსაც რეკომენდებულია ან ჩატარებულია სპეციფიკური ონკოლოგიური მკურნალობა: ქირურგიული, მედიკამენტური, რადიოთერაპიული ან პალიატიური მკურნალობა;
ბ.ვ) შაქრიანი დიაბეტი – ნებისმიერი ტიპის, რომელიც საჭიროებს მკურნალობას ორალური ან საინექციო ანტიდიაბეტური მედიკამენტებით, მათ შორის, ინსულინით;
ბ.ზ) ქრონიკული ჰეპატიტი „B“ ან „C“;
ბ.თ) ღვიძლის ციროზი;
ბ.ი) ეპილეფსია.

გ) თუ ოჯახის წევრს შეესაბამება ორი ან მეტი კატეგორია, შემოიხაზება ყველა შესაბამისი კატეგორიის კოდი.

8. დეკლარაციის „B4“ პუნქტის „სპეციალური სტატუსი და კატეგორია“ ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში სტატუსის/კატეგორიის აღნიშვნა ხდება მხოლოდ შესაბამისი სტატუსის/კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში:

ა) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად (I ან II ჯგუფი) გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი – სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ან სხვა უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (18 წლამდე ასაკის) – სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ან სხვა უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა;

გ) დედ-მამით ობოლი ბავშვი – 18 წლამდე ასაკის ბავშვი – ბავშვის დაბადებისა და მშობლების გარდაცვალების მოწმობები;

დ) „მარტოხელა არამომუშავე პენსიონერი/სოციალური პაკეტის მიმღები“ – გაითვალისწინება სახელმწიფო პენსიის, სოციალური პაკეტის და სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები.

ე) მარტოხელა დედა (პირი, რომელსაც არ ჰყოლია მეუღლე ან ქვრივია და ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილ(ებ)ი) – ქორწინებისა და მეუღლის გარდაცვალების მოწმობა (მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში), ბავშვის დაბადების მოწმობა;

9. დეკლარაციის „B4“ პუნქტში სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შემოხაზულ უნდა იქნეს ოჯახის თითოეული წევრის ყველა დადასტურებული სტატუსის/კატეგორიის შესაბამისი კოდი.

10. დეკლარაციის „B5“ პუნქტის „ინფორმაცია სრულწლოვანი შვილების შესახებ“ შევსებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია აუხსნას ოჯახს, რომ აქ იგულისხმება ოჯახის წევრის სრულწლოვანი შვილი, რომელიც დამოუკიდებლად, ოჯახის გარეთ ცხოვრობს ცალკე ოჯახად. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი წევრის ქვეშ უნდა ჩაიწეროს ოჯახისაგან დამოუკიდებლად მცხოვრები შვილების რაოდენობა. ამ კითხვის შევსებისას არ გაითვალისწინება პირ(ებ)ი რომელიც:

- ა) იმყოფება სამედიცინო ან სპეციალიზებულ დაწესებულებაში (თავშესაფარში, პანსიონატში და სხვა);
- ბ) მოთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;
- გ) არის ფსიქიკურად დაავადებული;

დ) ბრალდებულია და იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №01-41/5 - ვებგვერდი, 16.09.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 7 ივნისის ბრძანება №01-38/5 - ვებგვერდი, 08.06.2017წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №01-67/5 - ვებგვერდი, 12.12.2017წ.](#)

მუხლი 8

1. დეკლარაციის „C“ ბლოკი – „ოჯახის წევრთა განათლება და შემოსავლები“ უნდა შეივსოს ოჯახის ყველა წევრზე. სასურველია ოჯახის ცალკეული წევრის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნეს ამ წევრთან უშუალო გასაუბრების შედეგად.

2. დეკლარაციის „C1“ პუნქტის კითხვაზე – „რა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადის შინამეურნეობის წევრი მიმდინარე (გასულ) აკადემიურ წელს“ შევსებისას – სააგენტოს უფლებამოსილმა



პირმა უნდა შემოხაზოს შესაბამისი კოდი ოჯახის ყველა არასრულწლოვან (18 წლამდე) ასაკის წევრზე, ხოლო „C2“ პუნქტის - „განათლების მიღწეული დონე“ შევსებისას - უნდა შემოიხაზოს შესაბამისი კოდი ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრზე.

3 „C1“ და „C2“ პუნქტებში ყოველ წევრზე უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხის კოდი.

4. დეკლარაციის „C3“ პუნქტის „პირადი ფულადი შემოსავალი (მიღებული ან მისაღები) დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში (ლარი)“ შევსებისას:

ა) სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განმარტოს, რომ მიღებული ან მისაღები ფულადი შემოსავლის ქვეშ იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ კანონით გათვალისწინებული გადასახადების დაქვითვის შემდეგ, ხელზე მიღებული თანხა. „C3“ პუნქტის პირველი გრაფის - „ხელფასი (ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით)“ შევსებისას იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ წინა მეორე თვეში (თვეთა ათვლისას დეკლარაციის შევსების თვის წინა თვე ითვლება პირველ თვედ) ხელზე მიღებული თანხა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემებს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი სთხოვს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს წარმოადგინოს ცნობა შემოსავლების სამსახურიდან განსხვავებული ინფორმაციის შესახებ, რის შემდეგაც დეკლარაციაში ამ გრაფის კორექტირება (საჭიროების შემთხვევაში) ხორციელდება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ „C3“ პუნქტით გათვალისწინებული ფულადი შემოსავალი წარმოადგენს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად რაიმე სახის ფულად სოციალურ გასაცემელს, აღნიშნული დეკლარაციაში უნდა ჩაიწეროს უფლებამოსილი პირის მიერ, სააგენტოში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით;

გ) თუ რომელიმე სახის გასაცემელს ან სხვა ფულად შემოსავალს იღებს ოჯახის არასრულწლოვანი წევრი, მაშინ შესაბამისი თანხა ჩაეწერება არასრულწლოვან წევრს, რომელიც ამ დახმარების/შემოსავლის კანონიერი მიმღებია.

5. დეკლარაციის „C3“ პუნქტის შევსებისას:

ა) სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს უნდა განუმარტოს, რომ მიღებული ან მისაღები ფულადი შემოსავლის ქვეშ იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ ხელზე მიღებული თანხა, ან ის თანხა, რომელიც წინა მეორე თვეში უნდა მიეღო და ჯერ არ მიუღია, მაგრამ მომავალში მიიღებს;

ბ) „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9, მე-12 და მე-13 გრაფების შევსების დროს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს აცნობს ინფორმაციას ოჯახის წევრების შემოსავლების შესახებ, შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ მონაცემთა ბაზასა და სააგენტოს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით და ავსებს შესაბამის გრაფ(ებ)ას;

გ) თუ ოჯახის განაცხადში ოჯახის წევრთა შესახებ მითითებული ინფორმაცია არ შეესაბამება დეკლარაციის შევსების მომენტში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი განსხვავებულ ოჯახის წევრ(ებ)ზე დეკლარაციის „C3“ პუნქტის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-13 გრაფებს ავსებს სააგენტოში დაცული ინფორმაციის საფუძველზე;

დ) „C3“ პუნქტის მე-2 გრაფაში - „შემოსავალი კერძო საქმიანობიდან“ უნდა დაფიქსირდეს წინა მეორე თვეში ოჯახის მიერ კერძო საქმიანობიდან მიღებული ან მისაღები ფულადი შემოსავალი ლარებში;

ე) „C3“ პუნქტის მე-3 გრაფაში - „სახელმწიფო პენსია“ - სააგენტოს უფლებამოსილი პირი მიუთითებს ინფორმაციას განმცხადებლის მიერ წინა მეორე თვეში მიღებული თანხის ოდენობის შესახებ. ამასთან, ინფორმაცია მოწმდება და ივსება სააგენტოს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზასთან შედარებით;

ვ) „C3“ პუნქტის მე-4 გრაფაში - „სოციალური პაკეტი“ - უნდა ჩაიწეროს ინფორმაცია წინა მეორე თვეში მიღებული თანხის ოდენობის შესახებ, რომელსაც იღებს ოჯახის წევრ(ებ)ი;

ზ) „C3“ პუნქტის მე-5 გრაფა - „სახელმწიფო კომპენსაცია“ - უნდა ჩაიწეროს ინფორმაცია წინა მეორე თვეში მიღებული/მისაღები თანხის ოდენობის შესახებ, რომელსაც იღებს ოჯახის წევრ(ებ)ი;

თ) „C3“ პუნქტის მე-6 გრაფაში - „სტიპენდია“ - უნდა ჩაიწეროს ოჯახის უფლებამოსილი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში ან სხვა ტიპის სასწავლებელში სტუდენტისათვის ან მოსწავლისათვის, წინა მეორე თვეში მიღებული/მისაღები სტიპენდიის თანხის ოდენობის შესახებ;

ი) „C3“ პუნქტის მე-7 გრაფაში - „ალიმენტი“ - უნდა ჩაიწეროს სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, წინა მეორე თვეში მიღებული/მისაღები თანხის ოდენობა;

კ) „C3“ პუნქტის მე-8 გრაფაში - „დევნილთა შემწეობა“ - უნდა ჩაიწეროს იმ თანხის ყოველთვიური ოდენობა, რომელიც დანიშნული აქვს ოჯახის თითოეულ წევრ(ებ)ს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ;

ლ) „C3“ პუნქტის მე-9 გრაფაში - „ფულადი სოციალური დახმარება საარსებო შემწეობა“ - უნდა ჩაიწეროს ინფორმაცია წინა მეორე თვეში მიღებული/მისაღები საარსებო შემწეობის თანხის ოდენობის შესახებ;

მ) „C3“ კითხვის მე-10 გრაფაში - „სხვა ფულადი დახმარება, რომლის გაცემა დამოკიდებულია სარეიტინგო ქულაზე“ - უნდა ჩაიწეროს ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაცია წინა მეორე თვეში მიღებული/მისაღები იმ თანხის ოდენობის შესახებ, რომელსაც იღებს ოჯახი სარეიტინგო ქულიდან



გამომდინარე დახმარების სახით და რომლის ადმინისტრირებაც არ ხორციელდება სააგენტოს მიერ;
ნ) „C3“ პუნქტის მე-11 გრაფაში – „სხვა ფულადი სოციალური დახმარება“ – უნდა დაფიქსირდეს წინა მეორე თვეში მიღებული/მისაღები იმ სოციალური დახმარებ(ებ)ის ჯამური თანხა, რომელიც (რომლებიც) არ არის გათვალისწინებული ამ პუნქტის სხვა გრაფებით (მათ შორის, არ არის სარეიტინგო ქულაზე დამოკიდებული) და ოჯახი იღებს რეგულარულად (არაერთჯერადად), გარდა „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გაცემული ფულადი დახმარებისა და რეინტეგრაციის შემწეობისა;

ო) (ამოღებულია - 15.09.2015, №01-41/ნ);

პ) „C3“ პუნქტის მე-13 გრაფაში – „მინდობით აღზრდის ანაზღაურება“ – უნდა ჩაიწეროს წინა მეორე თვეში მიღებული/მისაღები ის ყოველთვიური თანხა, რომელსაც იღებს ოჯახი (ან ოჯახის წევრი) – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მინდობით აღზრდისთვის;

ჟ) „C3“ პუნქტის მე-14 გრაფაში – „სხვა რეგულარული ფულადი შემოსავალი“ – უნდა ჩაიწეროს წინა მეორე თვეში მიღებული/მისაღები ის ფულადი შემოსავალი, რომელიც არ არის გათვალისწინებული „C3“ პუნქტის სხვა რომელიმე გრაფით და აქვს არაერთჯერადი (რეგულარული) ხასიათი (მაგ. საქველმოქმედო ორგანიზაციიდან გრანტის სახით მიღებული თანხა ან კერძო კომპანიისგან მიღებული თანხა); თუ შემოსავალი არის რეგულარული, მაგრამ მისი მიღება არ ხდება ყოველთვიურად, უნდა დაფიქსირდეს ამ შემოსავლის ერთ თვეზე დაანგარიშებული ოდენობა; ამ გრაფაში არ ფიქსირდება ოჯახის წევრ(ებ)ის მიერ ბანკიდან, ლომბარდიდან აღებული კრედიტი/სესხი;

რ) „C3“ პუნქტში შესაძლებელია ერთ პიროვნებაზე მიეთითოს ორი და მეტი სახის შემოსავალი. თუ ოჯახის რომელიმე წევრი იღებს ერთი და იმავე სახის შემოსავალს სხვადასხვა წყაროდან შესაბამის გრაფაში უნდა დაფიქსირდეს თანხის ჯამური ოდენობა.

6. დეკლარაციის „C4“ პუნქტში – „რამდენი იყო ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლები ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში“, ფიქსირდება ოჯახის მიერ დეკლარაციის შევსების მომენტიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღებული ფულადი შემოსავლები, მათ შორის მე-4 გრაფაში ქონების გაყიდვასა და ყიდვას შორის არსებული სხვაობა ოჯახის უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი გაყიდვის-ყიდვის დოკუმენტაციის საფუძველზე. ამ პუნქტში არ გაითვალისწინება ოჯახის წევრ(ებ)ის მიერ ბანკიდან, ლომბარდიდან აღებული კრედიტი/სესხი.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №01-41/ნ - ვებგვერდი, 16.09.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 7 ივნისის ბრძანება №01-38/ნ - ვებგვერდი, 08.06.2017წ.](#)

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.](#)

მუხლი 9

1. დეკლარაციის „D“ ბლოკის „ოჯახის მიწა და სხვა ქონება“, „D1“ პუნქტის – „ფლობთ თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მიწას (იჯარით აღებული ჩათვლით)“ შევსებისას იგულისხმება ოჯახის მიერ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული (იჯარით აღებული ჩათვლით) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, გარდა საოკუპაციო ხაზს მიღმა მდებარე მიწის ნაკვეთისა. სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა დეკლარაციაში უნდა დააფიქსიროს სსიპ – „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ მითითებული ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (მათ შორის, იჯარით აღებული ჩათვლით) შესახებ ჰექტრების (ჰა) მითითებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი/იჯარა არ არის დარეგისტრირებული სსიპ – „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ ჩაიწერება ოჯახის უფლებამოსილი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ჰექტრების (ჰა) მითითებით.

2. დეკლარაციის „D2“ პუნქტის – „ჩაწერეთ ოჯახის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (იჯარით აღებული ჩათვლით) მთლიანი ფართობი“ – შევსებისას, მონაცემები უნდა დაფიქსირდეს ჰექტრებში (ჰა).

3. დეკლარაციის „D3“ პუნქტის – „გყავთ თუ არა ზრდასრული შინაური ფრინველი ან პირუტყვი“ – დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში ივსება დეკლარაციის „D4“ პუნქტი – „რა რაოდენობის შინაური ცხოველი და ფრინველი გყავთ“ – სადაც შესაბამის გრაფაში უნდა ჩაიწეროს ოჯახის საკუთრებაში არსებული ზრდასრული (პროდუქტიული) შინაური ცხოველების/ფრინველების რაოდენობა.

4. დეკლარაციის „D5“ პუნქტში – „მუშა მდგომარეობაში მყოფი მოძრავი ქონების რომელ საგნებს ფლობს ოჯახი“ – ფიქსირდება, მხოლოდ მუშა მდგომარეობაში მყოფი მოძრავი ქონების (უცხოური (არასაბჭოთა))



წარმოების მსუბუქი, სამგზავრო ან/და სატვირთო ავტომობილი და/ან ტრაქტორი, კომბაინი ან/და თესლის ჩამყრელი აპარატი) რაოდენობა, რომლითაც სარგებლობს (იჯარით, ქირით, საკუთრების ფორმით) ოჯახი, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა ეს საგნები ოჯახის რომელიმე წევრზე.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 7 ივნისის ბრძანება №01-38/ნ - ვებგვერდი, 08.06.2017წ.](#)

მუხლი 10

1. დეკლარაციის „E“ ბლოკში – „კომუნალური ხარჯები“ ფიქსირდება ოჯახის მიერ დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვიდან გასული თორმეტი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები ოჯახის მიერ ელექტროენერგიის, წყლის, დასუფთავების, ან/და ბუნებრივი აირის მოხმარებაზე წარმოდგენილი გადასახადების ქვითრების ან ასეთ(ებ)ის არქონის შემთხვევაში ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. თუ ოჯახს ამ პერიოდის განმავლობაში ელექტროენერგიის, წყლის, დასუფთავების, ან/და ბუნებრივი აირის მოხმარებაზე გადასახადი არ გადაუხდია, იწერება ციფრი „0“.

2. დეკლარაციის „E“ ბლოკში – „კომუნალური ხარჯები“, ფიქსირდება ოჯახის მიერ გაწეულ ხარჯებს გამოკლებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კომუნალური სუბსიდირების მიზნით გაცემული ფულადი დახმარების/ვაუჩერის ოდენობა, ოჯახის მიერ სააგენტოში მიმართვისა და შესაბამისი უწყების მიერ დადასტურებული დოკუმენტის საფუძველზე, გარდა მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული ოჯახებისა.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა ხორციელდება სააგენტოს უფლებამოსილი პირის ოჯახში ვიზიტისას და დეკლარაციის „E“ ბლოკის შევსების დროს ოჯახი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კომუნალური სუბსიდირების მიზნით ჩაერიცხა ფულადი დახმარება, რაც დასტურდება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გაცემული (ოჯახის ხელთ არსებული ან სააგენტოსათვის მიწოდებული) ინფორმაციით, ამავე პუნქტით გათვალისწინებული სხვაობა შესაძლებელია დაფიქსირდეს ოჯახის მიერ სააგენტოში მიმართვის გარეშე.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №01-35/ნ - ვებგვერდი, 17.08.2015წ.](#)

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.](#)

მუხლი 11

1. დეკლარაციის „A“, „B“, „C“, „D“ და „E“ ბლოკების სრულად შევსების შემდეგ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს შევსებულ დეკლარაციას, რათა დარწმუნდნენ, რომ დეკლარაციის ყველა საჭირო კითხვაზე შემოხაზულია შესაბამისი პასუხი და დამატებით გადამოწმდეს დეკლარაციის შევსების მართებულობა და სისრულე.

2. თუ შევსებული დეკლარაციის გადამოწმებისას აღმოჩენილი იქნება არასწორად შემოხაზული ან ჩაწერილი პასუხი, რომელიც მექანიკურად დაუშვა სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა ან დაზუსტების მიზნით ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და ითხოვს უკვე შემოხაზული (ჩაწერილი) პასუხის სხვა პასუხით შეცვლას, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა გადახაზოს უკვე შემოხაზული პასუხი „X“ ნიშნით და ახლიდან შემოხაზოს/დააფიქსიროს სწორი პასუხი. ჩასწორებულ პასუხზე ხელს აწერს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი და სააგენტოს უფლებამოსილი პირი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჩასწორების შეტანა დასაშვებია, თუ ჩასწორება ხელს არ უშლის შემოხაზული (ჩაწერილი) მონაცემის (პასუხის) ერთგვაროვან გაგებას. იმ შემთხვევაში, თუ ჩასწორების გაკეთება სადაოს და გაუგებარს ხდის შეტანილ (ჩაწერილი) მონაცემს (პასუხს), სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია შეავსოს ახალი დეკლარაცია.

4. თუ სააგენტოს უფლებამოსილ პირს ეჭვი ეპარება, რომ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დეკლარირებული მონაცემები არ შეესაბამება რეალობას, იგი ვალდებულია შეეცადოს შეასწორებინოს ისინი დამატებითი კითხვებისა და მოყვანილი ფაქტების საშუალებით. თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ თანხმდება შესწორებაზე ან მიწოდებული ინფორმაციის შეცვლაზე, შეტანილი მონაცემები რჩება უცვლელი და დეკლარაციის „F2“ გრაფაში – „ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება“, სააგენტოს უფლებამოსილი პირი უთითებს აღნიშნული უზუსტობის შესახებ.

5. დეკლარაციის „A“, „B“, „C“, „D“ და „E“ ბლოკების შევსების დასრულების შემდეგ, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელს აწერს დეკლარაციის ყველა შესაბამისი ფურცლის ბოლოს, რაც ადასტურებს შემდეგს:

ა) ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ დეკლარაციაში ასახულია



სრულად, შეესაბამება სიმართლეს და პასუხისმგებელია მის სისწორეზე;

ბ) თანხმობას, დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები შეტანილ იქნას სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სოციალური დახმარების დანიშვნის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, ოჯახის მიერ სოციალური დახმარების (შეღავათის ან სხვა სახის სარგებლის) მიღების თაობაზე ინფორმაცია გახდეს საჯარო.

6. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელს აწერს და იბარებს „ოჯახის საინფორმაციო ფურცელს“, რომელიც მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული „ოჯახის საინფორმაციო ფურცელი“ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიანი წევრ(ებ)ი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების დღის მომდევნო 30-ე კალენდარულ დღემდე ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ „სამუშაოს მაძიებლად“ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე www.worknet.gov.ge, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახს გაუუქმდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიანი წევრ(ებ)ს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე www.worknet.gov.ge „სამუშაოს მაძიებლად“ დარეგისტრირებიდან მესამე თვეს გაუქმებული აქვთ საკუთარი პროფილი, ოჯახს გაუუქმდება მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 7 ივნისის ბრძანება №01-38/ნ - ვებგვერდი, 08.06.2017წ.

მუხლი 12

1. დეკლარაციის „F“ ბლოკში „სააგენტოს უფლებამოსილი პირის შეფასება“ მოცემული გრაფები ივსება სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე.

2. „F1“ „ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება“ და „F2“ „ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება“ პუნქტებით გათვალისწინებული ველების შესავსებად გადაწყვეტილება მიიღება ოჯახის წევრებისა და ბინის/სახლკარის მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე. ამ გრაფებში უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხის კოდი.

3. „F1“ პუნქტით გათვალისწინებული ველების შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა შემოიხაზოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკუთარი სუბიექტური შეფასების მხოლოდ ერთი შესაბამისი პასუხის კოდი. ამასთან:

ა) ლატაკად შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა თუ მის წევრ(ებ)ს მძაფრად უდგათ შიმშილის პრობლემა, სხვისი დახმარების გარეშე არ შეუძლიათ მოიპოვონ ის მინიმალური საკვები, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელობის (სიცოცხლის) შენარჩუნებისათვის, ან მათი შემოსავალი სრულად ვერ ყოფნის იმ საკვების შეძენასაც კი, რაც საჭიროა შინამეურნეობის წევრების ნორმალური კვებისათვის;

გ) ღარიბად შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა თუ მის წევრებს საკუთარი შემოსავლებით შეუძლიათ მხოლოდ საკვების შეძენა, მათი შემოსავალი სრულად ვერ ყოფნის სხვა აუცილებელი საგნებისა თუ მომსახურების შეძენას (მაგ.: ხშირ შემთხვევაში არ შეუძლიათ ისეთი აუცილებელი საგნების ყიდვა, როგორიცაა წამლები, სახელმძღვანელოები, პირადი ჰიგიენის საგნები და სხვა);

დ) საშუალო შეძლების მქონედ შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, რომელიც აუცილებელი მოთხოვნილებების გარდა, მეტნაკლებად იკმაყოფილებს სხვა დამატებით მოთხოვნილებასაც (მაგ.: შესაძლებელია ზოგჯერ მოიძებნოს შინამეურნეობაში საშუალება იმისა, რომ გაწეულ იქნას ხარჯები ოჯახის წევრის დასვენებაზე, სარემონტო სამუშაოებზე და სხვა);

ე) მდიდრად შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა, რომელიც მარტივად იკმაყოფილებს ყოველდღიურ და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნებს, აქვს საშუალება შეიძინოს საქონელი ან/და მომსახურება ოჯახის წევრ(ებ)ის კომფორტისათვის;

4. დეკლარაციის „F2“ პუნქტში შემოიხაზება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის შესაბამისი პასუხის კოდი. ამასთან:

ა) მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის შეფასების შესაძლო პასუხებიდან („სანდოა“, „მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას“) უნდა შემოიხაზოს მხოლოდ ერთი შესაფერისი პასუხი;

ბ) თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი შეგნებულად მალავს სიმართლეს, მან უნდა შემოიხაზოს პასუხი - „მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას“ და აღნიშნული დააზუსტოს ყველა შესაბამისი პასუხის კოდის შემოიხაზვით (მაგ.: „მალავს შემოსავლებს“, „მალავს საცხოვრის“, „არასწორად უთითებს წევრ(ებ)ის ფიზიკურ მდგომარეობას“ და ა.შ.).

მუხლი 13



სააგენტოს უფლებამოსილი პირი დეკლარაციის ყველა ბლოკის შევსების შემდეგ შესაბამის გრაფაში აღნიშნავს დეკლარაციის შევსების თარიღს, ვიზიტის დაწყებისა და დასრულების დროს და ხელმოწერითა და პირადი ბეჭდით ადასტურებს დეკლარაციის შევსებას.

თავი IV. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმის შევსების წესი

მუხლი 14

1. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმს (შემდგომში – „შეწყვეტის ოქმი“) (დანართი №3) ავსებს იმ შემთხვევებში თუ:

- ა) ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული;
- ბ) ოჯახი ხელოვნურად არის დაყოფილი;
- გ) ოჯახი მითითებულ მისამართზე მუდმივად არ ცხოვრობს;
- დ) ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ ამღევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას;
- ე) ოჯახი უარს აცხადებს დეკლარაციის შევსებაზე და/ან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე;
- ვ) ვერ ხერხდება ოჯახის წევრებთან ან უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრა;
- ზ) ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები;
- თ) სხვა მიზეზი, როცა ვიზიტის დროს რაიმე გარემოების გამო სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ვერ ხერხდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ან როდესაც შეუძლებელია ოჯახის იდენტიფიცირება (მაგ. განაცხადში მითითებული მისამართი არ არსებობს ან მითითებულ მისამართზე არ მდებარეობს შენობა-ნაგებობა);

ი) ოჯახი უარს ამბობს ბავშვ(ებ)ის დეკლარაციის შევსებაზე.

2. შეწყვეტის ოქმში მითითებული უნდა იყოს სააგენტოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი; ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი; ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ოქმის შევსების თარიღი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი დარწმუნებულია ოჯახის ხელოვნურად დაყოფის ან ხელოვნურად გაერთიანების საკითხში, რასაც მოწმობს ოჯახის საცხოვრებელი პირობები.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, როცა სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვიზიტის დროს დაადგენს, რომ ოჯახი ნამდვილად არ ცხოვრობს განაცხადში/განცხადებაში მითითებულ მისამართზე; ასეთ შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სამი ვიზიტის განხორციელება სავალდებულო არ არის.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის, ოჯახის სხვა წევრ(ებ)ის, ან მესამე პირის მხრიდან ადგილი აქვს სააგენტოს უფლებამოსილი პირისათვის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში ხელის შეშლას და ამ წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობას.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, როცა ოჯახი მისივე სურვილით უარს აცხადებს დეკლარაციის შევსებაზე და/ან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე.

6¹. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, როცა ოჯახი მისივე სურვილით უარს აცხადებს ბავშვ(ებ)ის დეკლარაციის შევსებაზე და შესაბამისად წყდება „ოჯახის დეკლარაციის“ შევსება.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტის ოქმი ივსება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი სამი ვიზიტის განხორციელების შემდეგ ვერ შეძლებს ოჯახთან ან ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელთან შეხვედრას. ამ შემთხვევაში შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკის შესაბამისი გრაფა მოინიშნება მას შემდეგ, რაც სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ სრულად იქნება შევსებული შეწყვეტის ოქმის „B“ ბლოკი. ამ საფუძვლით შეწყვეტის ოქმის შევსებისას სააგენტოს პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს:

ა) განხორციელებულ პირველ და მესამე ვიზიტებს შორის დროის მონაკვეთი არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები;

ბ) შეწყვეტის ოქმის შევსების თარიღად უნდა მიეთითოს სააგენტოს პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული მესამე ვიზიტის თარიღი;

გ) შეწყვეტის ოქმში არ არის სავალდებულო მიეთითოს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;



დ) „B“ ბლოკის თითოეული გრაფის შევსებისას სასურველია ფიქსირდებოდეს იმ პირის მონაცემები (სახელი, გვარი, კავშირი ოჯახთან (მეზობელი, ნათესავი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი ან სხვა) და ხელმოწერა), რომელიც დაადასტურებს სააგენტოს უფლებამოსილი პირის ოჯახში ვიზიტის ფაქტს. ამ შემთხვევაში, რეგისტრაციის შეწყვეტა არ არის ოჯახისათვის ერთი წლის განმავლობაში ხელახალი რეგისტრაციის აკრძალვის საფუძველი.

8. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის რომელიმე წევრს არ გააჩნია ამ წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საბუთ(ებ)ი (ან არსებულ საბუთში არ არის მითითებული პირადი ნომერი) დეკლარაციის შევსება ჩერდება და ოჯახს ეძლევა ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ შემთხვევაში სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ავსებს შეწყვეტის ოქმის „C“ ბლოკს, რომელშიც უთითებს ოჯახის შესაბამისი წევრ(ებ)ის სახელსა და გვარს, სვამს ვიზიტის თარიღსა და ოჯახის გაფრთხილების თაობაზე ხელს აწერინებს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

9. თუ ოჯახი, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, სააგენტოს უფლებამოსილ პირს ვერ წარმოუდგენს პირადობის დამადასტურებელ შესაბამის საბუთ(ებ)ს, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაასრულოს შეწყვეტის ოქმის შევსება, კერძოდ:

ა) შეწყვეტის ოქმის „A“ ბლოკში მიუთითოს შესაბამის მიზეზი (ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები);

ბ) მიუთითოს შეწყვეტის ოქმის შევსების დასრულების თარიღი. ამასთან, შეწყვეტის ოქმის „C“ ბლოკის შევსების (გაფრთხილების) თარიღსა და შეწყვეტის ოქმის შევსების თარიღს შორის დროის მონაკვეთი არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რეგისტრაციის შეწყვეტა არ არის ოჯახისათვის ერთი წლის განმავლობაში ხელახალი რეგისტრაციის აკრძალვის საფუძველი.

11. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მიზეზ(ებ)ით შეწყვეტის ოქმის შევსების შემთხვევებში ოჯახს უუქმდება რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში და ერთი წლით კარგავს უფლებას ხელახალ რეგისტრაციაზე.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეწყვეტის ოქმის შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, შეწყვეტის ოქმის შესაბამის უჯრაში გააკეთოს მონიშვნა, ოჯახისათვის ხელახალი რეგისტრაციის ერთი წლით შეზღუდვის თაობაზე.

13. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი განმარტებები შეწყვეტის ოქმის შევსების თაობაზე, სააგენტოს უფლებამოსილ პირს შეუძლია დააფიქსიროს გრაფაში „სხვა“.

14. სააგენტოს პასუხისმგებელი პირი შეწყვეტის ოქმის შევსებას ადასტურებს ხელმოწერით. შეწყვეტის ოქმზე არ არის სავალდებულო ფიქსირდებოდეს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა.

15. შეწყვეტის ოქმის შევსების შემდეგ ოჯახის განაცხადი მონაცემთა ბაზაში მოსახვედრად ძალას კარგავს ავტომატურად.

16. შეწყვეტის ოქმის შევსების შემდეგ სააგენტო ვალდებულია წერილობით აცნობოს ოჯახს განაცხადის ძალადაკარგულად აღიარების, მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გაუქმების და/ან ოჯახისათვის ხელახალი რეგისტრაციის ერთი წლით შეზღუდვის შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.

თავი V. ოჯახის სარეიტინგო ქულის დაანგარიშება

მუხლი 15

1. დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით.

2. ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ გამოყენებით მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა.

თავი VI. ოჯახის დეკლარაციის შევსების სიზუსტის კონტროლი

მუხლი 16

1. იმ შემთხვევაში, როდესაც სააგენტოს უფლებამოსილი პირი „F2“ კითხვაში „ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება“ აფიქსირებს ოჯახის მხრიდან ფაქტების დამალვა-დამახინჯებას, შესაძლებელია ოჯახის დეკლარაციის განმეორებითი შევსება დადგენილი წესის



შესაბამისად.

2. დეკლარაციის განმეორებითი შევსება აგრეთვე შესაძლებელია განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ოჯახის შესახებ დეკლარირებული სუბიექტური და დადგენილი ობიექტური ინფორმაციის ურთიერთშედარების შედეგად ფიქსირდება არსებითი განსხვავება.

3. ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასადგენად პერიოდულად ხორციელდება შერჩევითი გადამოწმება.

თავი VII. ოჯახის წევრ(ებ)ის რეფერირების ფორმის შევსების წესი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.

მუხლი 17

1. ოჯახის წევრ(ებ)ის რეფერირების ფორმა (შემდგომში - ფორმა) წარმოადგენს სპეციალური ფორმის დოკუმენტს, რომელიც სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ივსება დამოუკიდებლად, საჭიროების შესაბამისად:

ა) ამ წესით განსაზღვრული „ოჯახის დეკლარაციის“ შევსების მიზნით სააგენტოს უფლებამოსილი პირის ოჯახში ვიზიტისას;

ბ) საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურის განხორციელების მიზნით სააგენტოს უფლებამოსილი პირის ოჯახში ვიზიტისას.

2. ფორმის შევსებისას სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ შემოიხაზება:

ა) „ოჯახის წევრი საჭიროებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას“:

ა.ა.) იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა გადაუდებელი მდგომარეობა, აღინიშნება: სისხლდენა, ცნობიერების დაკარგვა/დაბინდვა, მხედველობის დაბინდვა და/ან სხვა მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და ოჯახის წევრი მარტო იმყოფება. ამ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეთ საგანგებო და გადაუდებელი დახმარების სამსახურს - სსიპ - 112;

ა.ბ) იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა გადაუდებელი მდგომარეობა, აღინიშნება: სისხლდენა, ცნობიერების დაკარგვა/დაბინდვა, მხედველობის დაბინდვა და/ან სხვა მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და ოჯახის წევრი იმყოფება არასრულწლოვან პირ(ებ)თან ერთად სააგენტოს უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს საგანგებო და გადაუდებელი დახმარების სამსახურს – სსიპ-112, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს და სოციალურ მუშაკს.

ბ) „ოჯახის წევრზე შეიმჩნევა ფიზიკური ძალადობის ნიშნები“ – იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ფიზიკური ძალადობის ნიშნები: სხვადასხვა ფერის სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები ან/და ნაკაწრები, იარები, სხეულის შემუპებული ნაწილები, მოტეხილობები ან/და სხვა სახის დაზიანებები. ამ შემთხვევაში, მისივე თანხმობით, სააგენტოს უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს და სოციალურ მუშაკს;

გ) თუ „ოჯახის წევრი აღნიშნავს მასზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე“ მისივე თანხმობით, სააგენტოს უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს და სოციალურ მუშაკს;

დ) თუ „10 წლამდე ერთი ან მეტი ბავშვი იმყოფება უმეტესაღყურეოდ“ – სააგენტოს უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს და სოციალურ მუშაკს;

ე) ბავშვ(ებ)ი საჭიროებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას თუ:

ე.ა) სახეზეა გადაუდებელი მდგომარეობა (ბავშვს აღინიშნება რომელიმე ამათგან: სისხლდენა, სუნთქვის გაძნელება/ქოშინი, ღებინება, ცნობიერების დაკარგვა/დაბინდვა, მხედველობის დაბინდვა, ტკივილი, სიმძიმის შეგრძნება სხეულის რომელიმე ნაწილში, განსაკუთრებით მუცლის ზედა ნაწილში და/ან სხვა მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება) ამ შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს სსიპ - საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ნომერზე – 112, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს და სოციალურ მუშაკს;

ე.ბ) სახეზეა ფიზიკური ძალადობის ნიშნები (სხვადასხვა სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის



ჭრილობები და ნაკაწრები, იარაები, გამწვანებული სიარული, სხეულის შემუშავებული ნაწილები, მოტეხილობები, დამწვრობის კვალი, კოპები და სხვა სახის დაზიანებები. ამ შემთხვევაში სააგენტოს უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს და სოციალურ მუშაკს.

3. თუ ოჯახის წევრ(ებ)ი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების მიუხედავად, უარს აცხადებს სოციალურ მუშაკთან გადამისამართებაზე, შემოიზახება შესაბამისი გრაფა.

[საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.](#)

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.](#)

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის ბრძანება №01-41/ნ - ვებგვერდი, 16.04.2020წ.](#)

თავი VIII

ბავშვ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის შეგროვება/აღრიცხვის მეთოდოლოგია და ბავშვ(ებ)ის დეკლარაციის შევსების წესი

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.](#)

მუხლი 18

1. ბავშვ(ებ)ის დეკლარაციაში მონაცემები შეიტანება გარკვევით, ბურთულიანი კალმის გამოყენებით. შევსებას ექვემდებარება დეკლარაციის ყველა საჭირო გრაფა.

2. ბავშვის დეკლარაციის შევსების დაწყებამდე სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია შესაბამის გრაფაში მიუთითოს საკუთარი სახელი, გვარი და სამსახურებრივი კოდი.

3. იმ შემთხვევაში, თუ სოციალური აგენტი ოჯახში ვიზიტის დროს თავად ვერ ახერხებს ნახოს ბავშვ(ებ)ი ოჯახში, დეკლარაცია ივსება ოჯახის წევრ(ებ)ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელთა აღნიშვნაც მოხდება A1. ბლოკის მე-10 სვეტში.

4. ბავშვ(ებ)ის დეკლარაციაზე უნდა მიეთითოს ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი.

5. ბავშვის დეკლარაცია ივსება ყველა შემთხვევაში, თუ ოჯახში ცხოვრობს 0-18 წლამდე ასაკის ბავშვ(ებ)ი, გარდა ამ წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.](#)

მუხლი 19

1. დეკლარაციის „A1“ ბლოკი მოიცავს ოჯახში მცხოვრები ბავშვ(ებ)ის და მათი მშობლების ბიოგრაფიულ მონაცემებს. დეკლარაციის „A1“ ბლოკის შევსებისას ოჯახში მცხოვრები ბავშვ(ებ)ის მონაცემების შეტანა უნდა მოხდეს „ოჯახის დეკლარაციაში“ მითითებული/მინიჭებული ნუმერაციის შესაბამისად.

2. ბავშვ(ებ)ის შესახებ შესაბამის სვეტში მიეთითება: გვარი, სახელი, ბავშვის ასაკი, სქესი, ბავშვის დაბადების თარიღი, ბავშვის პირადი ნომერი, მშობლების პირადი ნომერი, მშობლების დაბადების თარიღი.

3. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირადად შეამოწმოს თითოეული ბავშვის/მშობლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ბავშვ(ებ) ის დაბადების მოწმობა და იქიდან ამოიწეროს პირადი ნომრები ან გამოიყენოს „ოჯახის დეკლარაციაში“ მითითებული მონაცემები.

4. „A2“ ბლოკის – „ნათესაური მიმართება მზრუნველთან“^[1] შევსებისას - თუ ოჯახის წევრ(ებ)ს აქვს



ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტი მეურვეობის/მზუნველობის შესახებ, მათ შორის ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ, მეურვეობა/მზრუნველობის გადაწყვეტილება, მინდობილობა ან სხვა, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ აღინიშნება ბავშვ(ებ)ის დეკლარაციის შესაბამის გრაფაში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.

მუხლი 20

1. დეკლარაციის „B.1.“ ბლოკის – „ბავშვის ფიზიკური განვითარება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა“ შევსებისას მოცემულ ცხრილში სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ყოველ ბავშვზე უნდა შემოიხაზოს ყველა შესაბამისი პასუხი:

1.1. პუნქტი – „ბავშვი ზედმეტად გამხდარია/არის ჭარბწონიანი;

1.2. პუნქტი – „ბავშვი იღებს საკვებს ასაკის შესაბამისად (0-6 თვემდე დედის რძე/ადაპტირებული ნარევი, 6-12 თვემდე დედის რძე/ადაპტირებულ ნარევს დამატებული ნახევრად მყარი საკვები (ფაფები, პიურე), 12 თვიდან ზის საერთო მაგიდასთან);

1.3 პუნქტი – „უჭირს გადაადგილება ასაკის შესაბამისად“ (12 თვიდან ბავშვს შეუძლია ხოხვა და ნაბიჯების გადადგმა დახმარებით ან დამოუკიდებლად, 18 თვიდან უნდა დადიოდეს დამოუკიდებლად);

1.4. პუნქტი – არის აღრიცხვაზე პირველადი ჯანდაცვის რგოლში;

2. დეკლარაციის „B2.“ ბლოკის – „ბავშვზე ზრუნვა“ შევსებისას მოცემულ ცხრილში სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ყოველ ბავშვზე უნდა შემოიხაზოს ყველა შესაბამისი პასუხი:

2.1. ბავშვ(ებ)ს სძინავს ადეკვატურ პირობებში (საწოლზე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მატრასი/ლეიბი, საბანი და თეთრეული);

2.2. სახლი/სივრცე, სადაც ბავშვ(ებ)ი ცხოვრობს, ბავშვ(ებ)ის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა (სახლი გადახურულია, შემინულია, არ არის ნესტიანი);

2.3. არ აქვს სეზონური ტანსაცმელი და/ან ფეხსაცმელი;

2.4. მოვლილია, დაცულია ჰიგიენა;

2.5. სახლში ყოფნისას/დღის განმავლობაში ძირითადად:

2.5.1. თუ ბავშვ(ებ)ი 7 წლამდეა და იმყოფება მარტო, მეთვალყურეობის გარეშე;

2.5.2. თუ ბავშვ(ებ)ი 10 წლამდეა და იმყოფება სხვა 10 წლამდე არასრულწლოვანი ბავშვ(ებ)ის მეთვალყურეობის ქვეშ;

2.5.3. თუ ბავშვ(ებ)ი 10 წლამდეა და ზრუნავს სხვა უმცროს ბავშვ(ებ)ზე ზრდასრული ოჯახის წევრის მეთვალყურეობის გარეშე;

2.5.4. თუ ბავშვ(ებ)ი ზრუნავს ოჯახის სრულწლოვან წევრზე.

3. დეკლარაციის „B3.“ ბლოკის - „ბავშვის განათლება“ შევსებისას მოცემულ ცხრილში სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ყოველ ბავშვზე უნდა შემოიხაზოს ყველა შესაბამისი პასუხი:

3.1. „B3.1.“ პუნქტი ბავშვი ასაკის შესაბამისად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში (7-14/15 წლამდე ასაკის ბავშვი 9 კლასის ჩათვლით);



3.2. „B3.2.“ პუნქტი – ბავშვი ასაკის შესაბამისად არ არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში (7-14/15 წლამდე არ დადის სკოლაში). აღნიშნეთ ყველა შესაძლო მიზეზი, რომელიც ჩამოთვლილია დეკლარაციაში.

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.](#)

მუხლი 21

1. დეკლარაციის „C“ ბლოკი – „სააგენტოს უფლებამოსილი პირის შეფასება“ ივსება სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ დამოუკიდებლად.

2. „C1.“ პუნქტი – „ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება“ – შემოიხაზება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სანდოა, ხოლო „C2.“ პუნქტი – „მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას/რეკომენდაცია სოციალურ მუშაკს“ შემოიხაზება იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს უფლებამოსილი პირი ჩათვლის, რომ მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას და საჭიროა სოციალური მუშაკის ჩართვა.

3. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ დამატებითი ინფორმაცია/შენიშვნა აღინიშნება „C3“ პუნქტში.

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.](#)

მუხლი 22

1. ბავშვ(ებ)ის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას კომპიუტერული პროგრამის საშუალებით.

2. სააგენტო უზრუნველყოფს შემთხვევის გადამისამართებას ტერიტორიულ ერთეულში ცენტრალიზებული წესით, ხოლო ტერიტორიული ერთეული უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას ზრუნვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, იმ შემთხვევაში, თუ ამავე ბრძანებით დამტკიცებული №6 დანართით – „ბავშვ(ებ)ის დეკლარაციაში შესატანი მონაცემები და ქულათა ოდენობები“:

ა) „B2“ ბლოკისთვის განსაზღვრულ ქულათა ოდენობა შეადგენს 6 ან/და მეტ ერთეულს;

ბ) ნებისმიერი ბლოკისთვის (გარდა „B2“ ბლოკისა) ან ჯამურად განსაზღვრული ქულათა ოდენობა შეადგენს 8 ან/და მეტ ერთეულს.

[1] **მზრუნველი** არის პირი, რომელიც ახორციელებს პრაქტიკულად ბავშვის მოვლას (იღებს გადაწყვეტილებებს ბავშვის კვების, ჩაცმის, განათლების და ა.შ. შესახებ ყოველდღიურად და ახორციელებს მზრუნველობას, სულ მცირე დღის უმეტეს დროს). ფლობს ბავშვის (მისი ჯანმრთელობის, კვების, განვითარების, განათლების და ა.შ.) შესახებ ყველაზე მეტ ინფორმაციას. მზრუნველი შეიძლება იყოს როგორც ოჯახის უფლებამოსილი პირი, ასევე ოჯახის სხვა წევრისც.

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.](#)

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის ბრძანება №01-41/ნ - ვებგვერდი, 16.04.2020წ.](#)

თავი IX

გარდამავალი დებულებები

[საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 28 აპრილის ბრძანება №01-45/ნ - ვებგვერდი, 29.04.2020წ.](#)



მუხლი 23

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების განსხვავებული წესების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №184 დადგენილების საფუძველზე, 2020 წლის 1 მარტის შემდეგ სააგენტო არ არის უფლებამოსილი, შეწყვიტოს ოჯახის რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში, ამ წესის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას, ოჯახი უარს აცხადებს ოჯახი დეკლარაციის/ბავშვის დეკლარაციის შევსებაზე და/ან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე ან თუ ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 28 აპრილის ბრძანება №01-45/ნ - ვებგვერდი, 29.04.2020წ.

დანართი №2 (იხილეთ დანართის სახით)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 22 მაისის ბრძანება №01-14/ნ - ვებგვერდი, 25.05.2015წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №01-41/ნ - ვებგვერდი, 16.09.2015წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №01-38/ნ - ვებგვერდი, 03.10.2016წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 7 ივნისის ბრძანება №01-38/ნ - ვებგვერდი, 08.06.2017წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.





სსიპ - სოციალური
მომსახურების
სააგენტო

დამტკიცებულია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010
წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანებით

ოჯახის დეკლარაცია

დანართი №2

სააგენტოს უფლებამოსილი პირი	
კოდი: 	სახელი: გვარი:

ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი:

ოჯახის მისამართი და საკონტაქტო მონაცემები			
თვითმმართველი ქალაქი:	მუნიციპალიტეტი:	საფოსტო ინდექსი: 	
ადმინისტრაციული ერთეული:	სოფელი:		
ქუჩა/კვარტალი/მიკრორაიონი:	სახლის N:	კორპუსი:	ბინის N:
ბინის ტელეფონი:	სხვა საკონტაქტო ტელეფონი:	შენიშვნა:	
მობილური ტელეფონი: 	ხართ თუ არა თანახმა მითითებულ ნომერზე გამოიგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება ოჯახის რეგისტრაციის და სოციალური დახმარების შესახებ:	დიახ	არა

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი		
გვარი:	სახელი:	პირადი ნომერი

A. ოჯახის საცხოვრებელი

A1. ცხოვრობს თუ არა საცხოვრისში ოჯახთან ერთად სხვა ოჯახი?		
დიახ	1	გააგრძელები ¹
არა	2	გადადით A3-ზე
A2. საცხოვრისში ოჯახთან ერთად კიდევ ვისი ოჯახი ცხოვრობს და რა მიმართებაშია ის ოჯახის უფროსთან?		
მშობლ(ებ)ის ოჯახი	1	
ბებია-ბაბუის ოჯახი	2	
შვილ(ებ)ის ოჯახი	3	
შვილიშვილ(ებ)ის ოჯახი	4	
სხვა ნათესავის ოჯახი	5	
არანათესავის ოჯახი	6	

A3. ელექტროენერგიაზე დანახარჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“
A4. ბუნებრივ აირზე დანახარჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“
ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანიის დასახელება
A5. წყლის დანახარჯის გადამხდელის სააბონენტო ნომერი თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“
A6. დასუფთავების გადამხდელის სააბონენტო ნომერი თუ ნომერი არა აქვს ჩაწერეთ „0“

ელექტროენერგიის
საერთო მრიცხველი

ბუნებრივი აირის
საერთო მრიცხველი

¹ოჯახის დეკლარაციის ფორმში დახრილი ასოებით მოცემულია სააგენტოს უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილი საინსტრუქციო ხასიათის მითითებები.

A7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა უძრავ ქონებას ფლობთ? შესაძლებელია რამდენიმე პასუხი	
ავტოფარები	1
მარანი / სამზადი	2
დაუმთავრებელი სახლი ან სხვა ნაგებობა	3
სამეურნეო ნაგებობები (სახელოსნო, ბოსელი, ნალია და სხვ.)	4
სარდაფი	5
კომერციული ფართი	6
ჩამოთვლილთაგან არცერთს არ ვფლობთ	7
A8. ჩაწერეთ რამდენია შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის საერთო ფართობი	ფართობი (კვ.მ)
A9. ჩაწერეთ რამდენი ოთახია თქვენი შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საერთო საცხოვრისში, სულ (სამზარეულოს, დერეფნის, სააბაზანოს, ტუალეტის და სხვა დამხმარე სათავსოების გარდა)	რაოდენობა
A10. ძირითადად რა მასალის არის იატაკი შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ნაწილში?	
პარკეტი	1
ლამინატი	2
ხე/ფიცარი	3
ბეტონი	4
მიწა	5
სხვა	6

A11. ფლობთ თუ არა ძირითადი საცხოვრებლის გარდა სხვა საცხოვრებელს (ბინას, სახლს, აგარაკს)?		
დიახ	1	გააგრძელეთ
არა	2	გადადით B ნაწილზე
A12. ჩაწერეთ სხვა საცხოვრებლ(ებ)ის მთლიანი ფართობი. თუ ერთზე მეტია, მიუთითეთ ჯამური ფართობი		
დასახელება		ფართობი (კვ.მ)
ბინა /სახლი	1	
აგარაკი	2	

B. ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემები

ივსება ოჯახის ყველა წევრზე პერსონალურად ასაკის კლების რიგითობით

B1.	ბიოგრაფიული მონაცემები					
N	გვარი	სახელი	სქესი 1-მდედრ. 2-მამრ.	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	ასაკი	პირადი ნომერი
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						
13						
14						
15						
16						

	ოჯახის წევრი																	
		N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
B2. შინამეურნეობის მიერ დასახელებული ოჯახის უფროსი																		
ოჯახის უფროსი			1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1

B3. ფიზიკური მდგომარეობა შემოხაზით ცვლა შესაბამისი პასუხი	N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
სარეცელს მიჯაჭვული / ლოგინად ჩავარდნილი		1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია და/ან საჭიროებს მომვლელს		2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
ორსული (20 და მეტი კვირის)		3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
მეძუძური დედა (ერთ წლამდე ბავშვით)		4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ / ამბულატორიულ მკურნალობას		5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას არ მიეკუთვნება		6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6

B4.	სპეციალური სტატუსი და კატეგორია <i>შემოხაზით ცვლადი შესაბამისი პასუხი</i>	N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
სპეციალური სტატუსი არ გააჩნია			1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (I ჯგუფი)			2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (II ჯგუფი)			3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი (18 წლამდე ასაკის)			4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
დედ-მამით ობოლი ბავშვი (18 წლამდე ასაკის)			5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
მარტოხელა არამომუშავე პენსიონერი/სოციალური პაკეტის მიმღები			6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6
მარტოხელა დედა			7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7
B5.	ინფორმაცია სრულწლოვანი შვილების შესახებ	N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
ჰყავს თუ არა ოჯახის წევრ(ებ)ს სრულწლოვანი შვილები, რომლებიც არ ცხოვრობენ თქვენს ოჯახში და თუ ჰყავს, რამდენი? <i>უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაწერეთ „0“</i>																		

C. ოჯახის წევრთა განათლება და შემოსავლები

C1. რა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადის შინამეურნეობის წევრი მიმდინარე (გასულ) აკადემიურ წელს? კითხვა ივსება მხოლოდ ოჯახის არაზრდასრულ (18 წლამდე ასაკის) წევრებზე	ოჯახის წევრი	N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
	სახელი																	
სკოლამდელ დაწესებულებაში (ბაგა-ბაღი, საბავშვო ბაღი)			1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სკოლაში/გიმნაზიაში			2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
ლიცეუმი (პროფესიული სასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება)			3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ტექნიკუმი (კოლეჯი)			4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
უმაღლესი			5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
არცერთ მათგანში არ დადის			6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6
მიჭირს პასუხის გაცემა			7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7

C2. განათლების მიღწეული დონე კითხვა ივსება მხოლოდ ოჯახის ზრდასრულ (18 წლის ან უფროსი ასაკის) წევრებზე	N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
წერა-კითხვის უცოდინარი		1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
არასრული საშუალო		2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
საშუალო		3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
საშუალო პროფესიული (ტექნიკუმი, პროფტექნიკუმი)		4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
არასრული უმაღლესი (შეწყვეტილი განათლება)		5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი		6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6
უმაღლესი		7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7

C3. პირადი ფულადი შემოსავალი (მიღებული ან მისაღები)

დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში (ლარი)? *მოცემულ კატეგორიაში თუ შემოსავალი არა აქვს, ჩაწერეთ „0“ - „თუ რომელიმე სახის გასაცემელს ან სხვა ფულად შემოსავალს იღებს ოჯახის არასრულწლოვანი წევრი, მაშინ შესაბამისი თანხა ჩაეწერება არასრულწლოვან წევრს, რომელიც ამ დახმარების/შემოსავლის კანონიერი მიმღებია“*

	ოჯახის წევრი	N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
		სახელი																
N			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
1	ხელფასი (ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით)																	
2	შემოსავალი კერძო საქმიანობიდან																	
3	სახელმწიფო პენსია																	
4	სოციალური პაკეტი																	
5	სახელმწიფო კომპენსაცია																	
6	სტიპენდია																	
7	ალიმენტი																	
8	დევენილთა შემწეობა																	
9	ფულადი სოციალური დახმარება - საარსებო შემწეობა																	
10	სხვა ფულადი დახმარება, რომლის გაცემა დამოკიდებულია სარიტინგო ქულაზე																	
11	სხვა სოციალური დახმარება																	
13	მინდობით აღზრდის ანაზღაურება																	
14	სხვა რეგულარული ფულადი შემოსავალი																	

C4.	რამდენი იყო ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლები ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში? <i>(წაუკითხეთ. თუ რომელიმე სახის შემოსავალი ოჯახს არ ჰქონია, ჩაწერეთ 0)</i>																	
N	შემოსავლის წყარო														ლარი			
1	შინაური ცხოველების, ფრინველებისა და მათი პროდუქციის (რძის, კვერცხის, ხორცის, ყველის, კარაქის, მატყლის და ა.შ.) გაყიდვიდან																	
2	სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მათი გადამამუშავების პროდუქტების (ხილი, ბოსტნეული, ღვინის, არაყის, ზეთის, ფქვილის, ჩირის) გაყიდვიდან.																	
3	ქონების გაქირავებიდან (ბინის, აგარაკის, მანქანის და სხვა)																	
4	ქონების გაყიდვიდან (ბინის, აგარაკის, მანქანისა და სხვა)																	
5	ფულადი დახმარება საქართველოში მცხოვრები ნათესავებისა და მეგობრებისაგან																	
6	ფულადი დახმარება საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისა და მეგობრებისაგან																	
7	სხვა არარეგულარული ფულადი შემოსავალი																	

„C3“ ბლოკის პირველ, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-13 გრაფებზე ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა არ ვრცელდება, რადგან ინფორმაცია აღირიცხება შესაბამისი სამსახურის მიერ

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა

D. ოჯახის მიწა და სხვა ქონება

D1. ფლობთ თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას (იჯარით აღებული ჩათვლით)?		
დიახ	1	გააგრძელებთ
არა	2	გადადით D3-ზე
D2. ჩაწერეთ ოჯახის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (იჯარით აღებული ჩათვლით) მთლიანი ფართობი	ფართობი (ჰა)	

D3. გყავთ თუ არა ზრდასრული შინაური ფრინველი ან პირუტყვი?		
დიახ	1	გააგრძელებთ
არა	2	გადადით D5-ზე
D4. რა რაოდენობის შინაური ცხოველი და ფრინველი გყავთ? (ჩაწერეთ რაოდენობა, თუ არა გყავთ, ჩაწერეთ „0“)		
დასახელება	N	რაოდენობა
ძროხა, კამეჩი, ხარი (სულ)	1	
ფუტკრის სკა	2	
შინაური ფრინველი (ყველა სახის)	3	

D5. მუშა მდგომარეობაში მყოფი მოძრავი ქონების რომელ საგნებს ფლობს ოჯახი? ყოველი საგნის (იჯარით, ქირით, საკუთრების ფორმით) გასწვრივ ჩაწერეთ რაოდენობა. თუ არ ფლობს ჩაწერეთ „0“.		
საგანი	N	რაოდენობა
უცხოური (არასაბჭოთა) მსუბუქი, სამგზავრო ან/და სატვირთო ავტომობილი	1	
ტრაქტორი, კომბაინი ან/და თესლის ჩამყრელი აპარატი	2	

E. კომუნალური ხარჯები

E1. რა თანხა გადაიხადეთ წინა მეორე თვიდან გასული 12 თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიისათვის? (თუ არ გადაუხდიათ, ჩაწერეთ „0“)			
	ლარი		თეთრი
E3. რა თანხა გადაიხადეთ წინა მეორე თვიდან გასული 12 თვის განმავლობაში მოხმარებული წყლისათვის? (თუ არ გადაუხდიათ ჩაწერეთ „0“)			
	ლარი		თეთრი

E2. რა თანხა გადაიხადეთ წინა მეორე თვიდან გასული 12 თვის განმავლობაში მოხმარებული ბუნებრივი აირისათვის? (თუარ გადაუხდიათ ჩაწერეთ „0“)			
	ლარი		თეთრი
E4. რა თანხა გადაიხადეთ წინა მეორე თვიდან გასული 12 თვის განმავლობაში დასუფთავებაში? (თუარ გადაუხდიათ ჩაწერეთ „0“)			
	ლარი		თეთრი

ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ დეკლარაციაში ასახულია სრულად და შეესაბამება სიმართლეს. თანახმა ვარ, ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები შეტანილ იქნეს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და სოციალური დახმარების დანიშვნის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სხვა შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში/მიზნით ოჯახის შესახებ ინფორმაცია გახდეს საჯარო.

გავეცანი და ჩავიბარე „ოჯახის საინფორმაციო ფურცელი“
ზემოაღნიშნულს ვეთანხმები და ვადასტურებ ხელმოწერით

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი

რიცხვი

თვე

წელი

F. სააგენტოს უფლებამოსილი პირის შეფასება

ოჯახის დეკლარაციის ეს ნაწილი სააგენტოს უფლებამოსილი პირი ავსებს დამოუკიდებლად, არ აცნობს ოჯახის წევრებს, კითხვებს და არ უთანხმებს პასუხებს

F1. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება	
ლატაკი	1
ლარიბი	2
საშუალო შეძლების	3
მდიდარი	4

F2. ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება		
სანდოა	1	
მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას:	2	შენიშვნა
მაღავს შემოსავლებს	2.1	
მაღავს გაწეულ ხარჯებს	2.2	
მაღავს შინაური ცხოველებისა და ფრინველების რაოდენობას	2.3	
მაღავს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას	2.4	
მაღავს მიწის ფართობს	2.5	
მაღავს სხვა ქონებას	2.6	
მაღავს საცხოვრისს	2.7	
არასწორად უთითებს წევრ(ებ)ის ფიზიკურ მდგომარეობას	2.8	
მაღავს სრულწლოვანი შვილების არსებობას	2.9	

დეკლარაციის შევსების თარიღი და დრო

თარიღი
(რიცხვი/თვე/წელი)

დაწყების დრო
(საათი/წუთი)

დასრულების დრო
(საათი/წუთი)

:

:

სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი

² აღნიშნული მიზეზით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტისათვის აუცილებელია ოქმის C ბლოკის სრულად შევსება, ამასთან ოქმის C ბლოკის შევსების თარიღსა და ოქმის შევსების თარიღის შორის დროის მონაკვეთი არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეწყდა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცედურა

სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა



სსიპ - სოციალური
მომსახურების
სააგენტო

ოჯახის წევრ(ებ)ის რეგულირების ფორმა

დამტკიცებულია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ
ბრძანებით

ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი:

სააგენტოს უფლებამოსილი პირი	
კოდი: 	სახელი:
	გვარი:

A. ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემები

N	გვარი	სახელი	სქესი 1=მდედრ. 2=მამრ.	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	ასაკი	პირადი ნომერი
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						

B. ოჯახის წევრ(ებ)ის გადაუდებელი საჭიროებ(ებ)ის შეფასება

ოჯახის წევრ(ებ)ის გადაუდებელი საჭიროებ(ებ)ის შეფასება	1	2	3	4	5	6	7
ოჯახის წევრი საჭიროებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას	1	1	1	1	1	1	1
ოჯახის წევრზე შეიმჩნევა ფიზიკური ძალადობის ნიშნები	2	2	2	2	2	2	2
ოჯახის წევრი აღნიშნავს მასზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე	3	3	3	3	3	3	3
არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიას არ მიეკუთვნება	4	4	4	4	4	4	4

C. უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ქმედებები

უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ქმედებები	სახელი, გვარი	ხელმოწერა
განხორციელდა გადამისამართება სსიპ 112- ში	ექიმი	
განხორციელდა გადამისამართება სოციალურ მუშაკთან	უფროსი სოციალური მუშაკი/სოციალური მუშაკი	
განხორციელდა გადამისამართება ტერიტორიული ერთეულის უფროსთან	ტერიტორიული ერთეულის უფროსი	
უარი სოციალურ მუშაკთან/ტერიტორიული ერთეულის უფროსთან გადამისამართებაზე	ოჯახის წევრი	

შეცხების თარიღი და დრო

თარიღი <i>(რიცხვი/თვე/წელი)</i> 	შეცხების დრო <i>(საათი/წუთი)</i>
<i>სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი</i>	

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 22 მაისის ბრძანება №01-14/ნ - ვებგვერდი, 25.05.2015წ.
 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №01-36/ნ - ვებგვერდი, 09.08.2016წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ -
ვებგვერდი, 21.09.2018წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/5 - ვებგვერდი, 21.09.2018წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის ბრძანება №01-41/5- ვებგვერდი, 16.04.2020წ.



სსიპ - სოციალური
მომსახურების
სააგენტო

ოჯახში მცხოვრები (0-18 წლამდე ასაკის) ბავშვ(ებ)ის დეკლარაცია

სააგენტოს უფლებამოსილი პირი	
კოდი: □□□□	სახელი:
	გვარი:

დამტკიცებულია საქართველოს შრომის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
2010 წლის 20 მაისის N141/5 ბრძანებით

ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი:

□□□□□□□□□□□□□□

A1.	ოჯახში მცხოვრები ბავშვების და მათი მშობლების ბიოგრაფიული მონაცემები ივსება ასაკის კლების რიგითობით								
1. N	2. ბავშვის გვარი	3. ბავშვის სახელი	4. ბავშვის სქესი 1=მდედრ 2=მამრ.	5. ბავშვის ასაკი	6. ბავშვის დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	7. ბავშვის პირადი ნომერი	8. მშობლები მიუთითეთ მათი პირადი ნომერი	9. მშობლის დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	10. ბავშვი დაესწრო დეკლარაციის შევსებას
1					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐
2					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐
3					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐
4					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐
5					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐
6					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐
7					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐
8					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐
9					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐
10					□□ □□ □□□□	□□□□□□□□□□	□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□	□□ □□ □□□□ □□ □□ □□□□	☐

A2. ნათესაური მიმართება მზრუნველთან	ოჯახის წევრი	N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	თუ ოჯახის ზრდასრულ წევრს აქვს ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტი მშობლობის/მზრუნველობის/მეურვეობის შესახებ აუცილებლად მიუთითეთ დოკუმენტის ტიპი
		ბავშვის სახელი											
შვილი			1	1	1	1	1	1	1	1	1	1	☐ დაბადების მოწმობა
მინდობით აღსაზრდელი			2	2	2	2	2	2	2	2	2	2	☐ ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ ☐ მინდობილობა
დისშვილი/მმისშვილი			3	3	3	3	3	3	3	3	3	3	☐ ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ ☐ მეურვეობა/მზრუნველობის გადაწყვეტილება ☐ მინდობილობა
შვილიშვილი			4	4	4	4	4	4	4	4	4	4	☐ ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ ☐ მეურვეობა/მზრუნველობის გადაწყვეტილება ☐ მინდობილობა
სხვა ნათესავი			5	5	5	5	5	5	5	5	5	5	☐ ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ ☐ მეურვეობა/მზრუნველობის გადაწყვეტილება ☐ მინდობილობა
არანათესავი			6	6	6	6	6	6	6	6	6	6	☐ ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ ☐ მეურვეობა/მზრუნველობის გადაწყვეტილება ☐ მინდობილობა

B. 1. ბავშვების ფიზიკური განვითარება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა შემოხაზეთ ყველა შესაბამისი პასუხი	ოჯახის წევრი	N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
		ბავშვის სახელი										
1.1. ბავშვი ზედმეტად გამხდარია / არის ჭარბწონიანი			1	1	1	1	1	1	1	1	1	1
1.2. ბავშვი იღებს საკვებს ასაკის შესაბამისად (0-6 თვემდე - დედის რძე/ადაპტირებული ნარევი, 6-12 თვემდე დედის რძე/ადაპტირებულ ნარევს დამატებული ნახევრად მყარი საკვები (ფაფები, პიურე), 12 - თვიდან ზის საერთო მაგიდასთან)			2	2	2	2	2	2	2	2	2	2
1.3. უჭირს გადაადგილება ასაკის შესაბამისად ¹			3	3	3	3	3	3	3	3	3	3

¹ 12 თვიდან ბავშვს შეუძლია ხოხვა და ნაბიჯების გადადგმა დახმარებით ან დამოუკიდებლად, 18 თვიდან უნდა დადიოდეს დამოუკიდებლად

1.4. არის აღრიცხვაზე პირველადი ჯანდაცვის რგოლში	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

B.2 ბავშვზე ზრუნვა	ოჯახის წევრი	N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
		ბავშვის სახელი										

2.1. ბავშვ(ებ)ს სძინავს ადეკვატურ პირობებში (საწოლზე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მატრასი/ლეიბი, საბანი და თეთრეული)	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
2.2. სახლი/სივრცე, სადაც ბავშვ(ებ)ი ცხოვრობს, ბავშვ(ებ)ის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა (სახლი გადახურულია, შემინულია, არ არის ნესტიანი)	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
2.3. არ აქვს სეზონური ტანსაცმელი და/ან ფეხსაცმელი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
2.4. მოვლილია, დაცულია ჰიგიენა	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
2.5. სახლში ყოფნისას/დღის განმავლობაში ძირითადად: (1. თუ ბავშვ(ებ)ი 7 წლამდეა და იმყოფება მარტო, მეთვალყურეობის გარეშე; 2. თუ ბავშვ(ებ)ი 10 წლამდეა და იმყოფება სხვა 10 წლამდე არასრულწლოვანი ბავშვ(ებ)ის მეთვალყურეობის ქვეშ; 3. თუ ბავშვ(ებ)ი 10 წლამდეა და ზრუნავს სხვა უმცროს ბავშვ(ებ)ზე ზრდასრული ოჯახის წევრის მეთვალყურეობის გარეშე; 4. თუ ბავშვ(ებ)ი ზრუნავს ოჯახის სრულწლოვან წევრზე)	5	5	5	5	5	5	5	5	5	5

B.3. ბავშვის განთლება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
3.1. ბავშვი ასაკის შესაბამისად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში (7-14/15 წლამდე ასაკის ბავშვი 9 კლასის ჩათვლით)	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
3.2. ბავშვი ასაკის შესაბამისად არ არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში (7-14/15 წლამდე არ დადის სკოლაში)	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
3.2.1 არ ირიცხება სკოლაში	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
3.2.2 ბავშვს არ აქვს სასკოლო ინვენტარი	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
3.2.3 ბავშვს არ აქვს შესაბამისი ტანსაცმელი და/ან ფეხსაცმელი	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
3.2.4 ბავშვი იძულებულია იმუშაოს	6	6	6	6	6	6	6	6	6	6
3.2.5 ბავშვს აქვს ქცევითი პრობლემები (ხშირად აცდენს, არის ქუჩაში, დისციპლინარული პრობლემების გამო	7	7	7	7	7	7	7	7	7	7
3.2.6 ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო	8	8	8	8	8	8	8	8	8	8

3.2.7 ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო	9	9	9	9	9	9	9	9	9	9
3.2.8 მე-9 კლასის დასრულების გამო	10	10	10	10	10	10	10	10	10	10

C. სააგენტოს უფლებამოსილი პირის შეფასება

ოჯახის დეკლარაციის ამ ნაწილს სააგენტოს უფლებამოსილი პირი ავსებს დამოუკიდებლად, არ აცნობს ოჯახის წევრებს კითხვებს და არ უთანხმებს პასუხს

C. 1. ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება	
სანდოა	1

C. 2. მოწოდებული ინფორმაცია საჭიროებს დამატებით გადამოწმებას/რეკომენდაცია სოციალურ მუშაკს:	
ბავშვ(ებ)ის დათვალიერება	2.1
ბავშვ(ებ)ის ინტერვიუება	2.2
სხვა, მიუთითეთ _____	2.3
სხვა, მიუთითეთ _____	2.4
სხვა, მიუთითეთ _____	2.5

C. 3 სოციალური აგენტის შენიშვნა

დეკლარაციის შევსების თარიღი და დრო

თარიღი

(რიცხვი/თვე/წელი)

დაწყების დრო

(საათი/წუთი)

:

დასრულების დრო

(საათი/წუთი)

:

სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 21.09.2018წ.

ბავშვ(ებ)ის დეკლარაციაში შესატანი მონაცემები და ქულათა ოდენობები

ბავშვის დეკლარაციის მონაცემები	ქულის ოდენობა
B. 1. ბავშვების ფიზიკური განვითარება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა	
1.1. ბავშვი ზედმეტად გამხდარია / არის ჭარბწონიანი	დადებითი პასუხის შემთხვევაში 1 ქულა
1.2. ბავშვი იღებს საკვებს ასაკის შესაბამისად (0-6 თვემდე - დედის რძე/ადაპტირებული ნარევი, 6-12 თვემდე დედის რძე/ადაპტირებულ ნარევს დამატებული ნახევრად მყარი საკვები (ფაფები, პიურე), 12 - თვიდან ზის საერთო მაგიდასთან)	უარყოფითი პასუხის შემთხვევაში 2 ქულა
1.3. უჭირს გადაადგილება ასაკის შესაბამისად	დადებითი პასუხის შემთხვევაში 2 ქულა
1.4. არის აღრიცხვაზე პირველადი ჯანდაცვის რგოლში	უარყოფითი პასუხის შემთხვევაში: 5 ქულა - თუ ბავშვი 5 წლამდეა 3 ქულა - თუ ბავშვი 5 წლის და მეტისაა
B.2 ბავშვზე ზრუნვა	
2.1. ბავშვ(ებ)ს სძინავს ადეკვატურ პირობებში (საწოლზე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მატრასი/ლეიბი, საბანი და თეთრეული)	უარყოფითი პასუხის შემთხვევაში 2 ქულა
2.2. სახლი/სივრცე, სადაც ბავშვ(ებ)ი ცხოვრობს, ბავშვ(ებ)ის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა (სახლი გადახურულია, შემინულია, არ არის ნესტიანი)	უარყოფითი პასუხის შემთხვევაში 2 ქულა
2.3. არ აქვს სეზონური ტანსაცმელი და/ან ფეხსაცმელი	დადებითი პასუხის შემთხვევაში 3 ქულა
2.4. მოვლილია, დაცულია ჰიგიენა	უარყოფითი პასუხის შემთხვევაში 2 ქულა
2.5. სახლში ყოფნისას/დღის განმავლობაში ძირითადად: (1- თუ ბავშვ(ებ)ი 7 წლამდეა და იმყოფება მარტო, მეთვალყურეობის გარეშე 2. თუ ბავშვ(ებ)ი 10 წლამდეა და იმყოფება სხვა 10 წლამდე არასრულწლოვანი ბავშვ(ებ)ის მეთვალყურეობის ქვეშ 3. თუ ბავშვ(ებ)ი 10 წლამდეა და ზრუნავს სხვა უმცროს ბავშვ(ებ)ზე ზრდასრულის მეთვალყურეობის გარეშე 4. თუ ბავშვ(ებ)ი ზრუნავს ოჯახის სრულწლოვან წევრზე)	დადებითი პასუხის შემთხვევაში: 5 ქულა - თუ ბავშვი 7 წლამდეა 3 ქულა - თუ ბავშვი 7 წლის და მეტისაა

ბ.3. ბავშვის განათლება

3.1. ბავშვი ასაკის შესაბამისად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში (7-14/15 წლამდე ასაკის ბავშვი 9 კლასის ჩათვლით))	
3.2. ბავშვი ასაკის შესაბამისად არ არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესში (7-14/15 წლამდე არ დადის სკოლაში)	
3.2.1 არ ირიცხება სკოლაში	დადებითი პასუხის შემთხვევაში 8 ქულა
3.2.2 ბავშვს არ აქვს სასკოლო ინვენტარი	დადებითი პასუხის შემთხვევაში 8 ქულა
3.2.3 ბავშვს არ აქვს შესაბამისი ტანსაცმელი და/ან ფეხსაცმელი	დადებითი პასუხის შემთხვევაში 8 ქულა
3.2.4 ბავშვი იძულებულია იმუშაოს	დადებითი პასუხის შემთხვევაში 8 ქულა
3.2.5 ბავშვს აქვს ქცევითი პრობლემები (ხშირად აცდენს, არის ქუჩაში, დისციპლინური პრობლემების გამო)	დადებითი პასუხის შემთხვევაში 8 ქულა
3.2.6 ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო	დადებითი პასუხის შემთხვევაში 8 ქულა
3.2.7 ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო	დადებითი პასუხის შემთხვევაში 8 ქულა